ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) სახელმძღვანელო აუცილებელ მოგერიებასთან დაკავშირებულ საქმეებზე სამართალწარმოების შესახებ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კონტექსტში

EHRAC

Middlesex University London

წინამდებარე სახელმძღვანელოს შექმნა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საშუალებით. სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ევროპული ცენტრი (EHRAC) და ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID-ისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

შინაარსი

შესავალი 5

ტერმინოლოგია და ფარგლები 6

1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეაგირება ქალთა მიერ განხორციელებულ აუცილებელ მოგერიებაზე ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კონტექსტში: მართლმსაჯულების ამჟამად არსებული ბარიერები 8

1.1. საკანონმდებლო დაბრკოლებები: გენდერულად ნეიტრალური კანონმდებლობის უარყოფითი გავლენა აუცილებელ მოგერიებაზე 9

1.1.1. აუცილებელი მოგერიების განმარტება მამაკაცებს ეკუთვნის 10

1.1.2. ოჯახში ძალადობის კრიმინალიზების არარსებობა 11

1.1.3. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემების რეაგირება: საუკეთესო პრაქტიკა 12

1.1.4. ძალადობის ისტორია, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება სამოსამართლო დისკრეციის საკითხია 14

1.1.5. საკანონმდებლო დაბრკოლებები: დასკვნა 14

1.2. მტკიცებულებებთან დაკავშირებული გამოწვევები: ქალების მიერ „საუკეთესო ჩვენების“ მიცემის შეუძლებლობა 15

1.3. სტერეოტიპები: ძირითადი დაბრკოლება ქალისთვის მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის თვალსაზრისით 17

2. შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები და პრინციპები 20

2.1. სტერეოტიპების გამოვლენისა და აღმოფხვრის ვალდებულება 22

2.2. გენდერული პერსპექტივის გამოყენების აუცილებლობა ოჯახში ძალადობაზე რეაგირებასა და აუცილებელ მოგერიებასთან მიმართებით ოჯახში ძალადობის კონტექ-სტში 25

2.2.1. გენდერული პერსპექტივის პრინციპები 25

2.2.2. ქალი, რომელიც ძალადობის საპასუხოდ სჩადის მკვლელობას - როგორც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი 27

2.2.3. ქალი, რომელიც ძალადობის საპასუხოდ სჩადის მკვლელობას - ბრალდებულის როლში 29

2.3. აუცილებელი მოგერიების ელემენტების ინტერპრეტაცია ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კონტექსტში 32

2.3.1. უკანონო აგრესიის არსებობა 32

2.3.2. გარდაუვალი საფრთხე და მოცემულ მომენტში არსებული ძალადობა 32

2.3.3. ქალების მიერ თავდასხმის მოსაგერიებლად გამოყენებული საშუალებების გონივრულობა და თანაზომიერება 34

2.3.3.1. გამოყენებული საშუალებების გონივრულობა და თანაზომიერება 34

2.3.3.2. მოლოდინები, თუ რა უნდა ან შეეძლო გაეკეთებინა ქალს თავის დაცვის ნაცვლად 35

2.4. მტკიცებულებების მოპოვებისა და შეფასების სტანდარტები აუცილებელი მოგერიების საქმეებზე ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კონტექსტში 38

2.4.1. საქმის გენდერულად მგრძნობიარე მომზადება და გენდერულად მგრძნობიარე კომუნიკაცია 38

2.4.2. სამართალდამცავმა ორგანოებმა პროაქტიურად უნდა მოიპოვონ მტკიცებულებები და გამოიკვლიონ პოტენციური მტკიცებულებების ფართო სპექტრი 40

2.4.3. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიმართ მტკიცებულებათა გამყარების მოთხოვნის აკრძალვა 42

2.4.3.1. შესამჩნევი კვალის არარსებობა არ ამტკიცებს, რომ ძალადობა არ მომხდარა 43

2.4.3.2. სამართალდამცავმა ორგანოებმა არ უნდა გამოიტანონ არასათანადო დასკვნები ქალის ჩვენებაში არსებული შეუსაბამობების და ძალადობის ფაქტის დაგვიანებით გამჟღავნების გამო 44

2.4.4. ექსპერტი მოწმის ჩვენების მნიშვნელობა 45

2.5. ეფექტიანი და გენდერულად მგრძნობიარე იურიდიული დახმარების მნიშვნელობა აუცილებელი მოგერიების საქმეებზე ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კონტექსტში 46

2.6. ოჯახში ძალადობის ისტორია, როგორც სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება აუცილებელი მოგერიების საქმეებზე ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კონტექსტში 47

დასკვნა 49

სასარგებლო რესურსები 51

პრეცედენტული საქმეები 53

შესავალი

ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა ფართოდ არის გავრცელებული ყველა ქვეყანაში და დაუსჯელობის მაღალი დონით ხასიათდება. წამების საკითხებში სპეციალურმა მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ოჯახში ძალადობა არც გამონაკლისი შემთხვევაა და არც ნაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა, არამედ, სინამდვილეში, წარმოადგენს დამცირების, ძალადობისა და სიკვდილის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ წყაროს მთელი მსოფლიოს მასშტაბით; იგი, მიახლოებით, უტოლდება შეიარაღებული კონფლიქტით გამოწვეული სიკვდილისა და ძალადობის ყველა შემთხვევას".[1]

მართალია, მამაკაციც შეიძლება გახდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, მაგრამ ოჯახში ძალადობა ქალებს არაპროპორციულად ეხება, რაც აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ.[2] გაეროს სტატისტიკის თანახმად, სამიდან ერთი ქალი ცხოვრების რომელიმე ეტაპზე განიცდის ფიზიკურ ან/და სექსუალურ ძალადობას ინტიმური პარტნიორის მხრიდან.[3] გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) მსოფლიო კვლევამ მკვლელობის შესახებ (2019) დაადგინა, რომ "2017 წელს ჩადენილ იქნა 87,000 ქალის განზრახ მკვლელობა. მათგან ნახევარზე მეტი (50,000) მოკლა ინტიმურმა პარტნიორმა ან ოჯახის სხვა წევრმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოში ყოველდღიურად 137 ქალი მოკლა საკუთარი ოჯახის წევრმა".[4] ამ ქალთა ერთ მესამედზე მეტი (30,000) მოკლა იმდროინდელმა ან ყოფილმა პარტნიორმა.[5]

მტკიცებულებები ასევე გვიჩვენებს, რომ იმ ქალთა უმრავლესობა, რომლებიც ინტიმურ პარტნიორს კლავენ, სინამდვილეში საკუთარ ან/და საკუთარი შვილების სიცოცხლეს იცავს თავდასხმისაგან ოჯახში ძალადობის კონტექსტში.[6] თუმცა, იურიდიული დახმარების არსებობის მიუხედავად, მრავალი ქალი, რომელიც ცდილობს თავი დაიცვას გარდაუვალი ზიანის, ან სიკვდილისგანაც კი, დაბრკოლებებს აწყდება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით და საბოლოოდ მათი დამნაშავედ ცნობა და თავისუფლების აღკვეთაც კი ხდება მკვლელობის ან სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი სხვა მძიმე დანაშაულის ბრალდებით.[7]

---

1 UNGA, 'Relevance of the prohibition of torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment to the context of dometic violence, Interim report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment' (2019) UN Doc A/74/148, პარაგრაფი 3.(გაეროს გენერალური ასამბლეა, „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის რელევანტურობა ოჯახში ძალადობის კონტექსტში, წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში (2019) გაეროს დოკ. A/74/148, პარ. 3)

2 იქვე, პარ. 60; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბულის კონვენცია) (მიღებულია 2011 წლის 11 მაისს, ძალაში შევიდა 2014 წლის 01 აგვისტოს) CETS #210, პრეამბულა.

3 ჯანმო, „კატასტროფულად გავრცელებული: მსოფლიოს მასშტაბით 3-დან 1 ქალი განიცდის ძალადობას' (ჯანმო, 2021 წლის 09 მარტი) <https://www.who.int/news/item/09-03-2021-devastatingly-pervasive-1-in-3-women-globally-experience-violence> ბოლო წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს; გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტის სტატისტიკის განყოფილება, „ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ" <https://worlds-women-2020-data-undesa.hub.arcgis.com/apps/50dd1b2d6167437693178836261522e6/explore> ბოლო წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.

4 გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), „გლობალური კვლევა მკვლელობის შესახებ" (2019) <https://www.unodc.org/documents/data-and-analysis/gsh/Booklet_5.pdf> ბოლო წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, გვ. 10.

5 იქვე.

6 ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმა", „ქალები, რომლებიც კლავენ ოჯახში ძალადობაზე საპასუხოდ" (2016) <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/04/Women_who_kill_in_response_to_domestic_violence_Full_report.pdf> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, გვ. 4. რუსეთთან დაკავშირებით იხილეთ ჟუკოვა, კრიუკოვი და სხვ., „„ეხლა მე შენ მოგკლავ, ძუკნა". მკვლელობისთვის ნასამართლევ ქალთა უმრავლესობა თავს იცავდა ოჯახში ძალადობისგან" (მედიაზონა, 25 ნოემბერი, 2019 წელი) <https://zona.media/article/2019/11/25/women-105> ბოლო წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს; ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკის ქვეყნებისთვის იხილეთ ბელემ დო პარას კონვენციის ზედამხედველობის მექანიზმის ექსპერტთა კომიტეტი (MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტი), „MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N. 1" „აუცილებელი მოგერიებისა და გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ ბელემ დო პარას კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად" (2018) <https://www.oas.org/en/mesecvi/docs/MESECVI-CEVI-doc.249-EN.pdf> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს; გაერთიანებული სამეფოსთვის, იხილეთ ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, „ქალები, რომლებიც კლავენ: როგორ ახდენს სახელმწიფო იმ ქალთა კრიმინალიზებას, რომლებსაც სხვა შემთხვევაში უნდა ვმარხავდეთ" (2021) <https://static1.squarespace.com/static/5aa98420f2e6b1ba0c874e42/t/602a9a87e96acc025de5de67/1613404821139/CWJ_WomenWhoKill_Rpt_WEB-3+small.pdf> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს; და პენიტენციური სისტემის რეფორმების ტრასტი, „„არსებობს მიზეზი, რატომაც გვაქვს პრობლემები": ოჯახში ძალადობა, როგორც ქალების მიერ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი ფაქტორი" (2017) <http://www.prisonreformtrust.org.uk/Portals/0/Documents/Domestic_abuse_report_final_lo.pdf> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.

7 იქვე.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს პრაქტიკოს იურისტებს, რომლებსაც ამ საკითხებთან დაკავშირებით სამართალწარმოების ან საერთაშორისო სამართალწარმოების გარკვეული გამოცდილება აქვთ. იგი განსაზღვრავს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორებს მსგავს შემთხვევებში და განმარტავს საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც დაეხმარება პრაქტიკოს იურისტებს აღნიშნული დაბრკოლებებისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და მათ გადალახვაში, რამდენადაც ეს შესაძლებელია არსებული სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში. აუცილებელი მოგერიების საკითხი რთული და მრავალმხრივია. წინამდებარე სახელმძღვანელო ძირითად აქცენტს აკეთებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეაგირებაზე იმ ქალებთან მიმართებით, რომლებმაც აუცილებელი მოგერიების მიზნით სასიკვდილო ძალა გამოიყენეს ოჯახში ძალადობის კონტექსტში (იხილეთ ტერმინოლოგიისა და ფარგლების ნაწილი ქვემოთ). სახელმძღვანელოს მიზანს არ წარმოადგენს აღნიშნული საკითხის ამომწურავი ანალიზი.

სახელმძღვანელო იყოფა ორ ნაწილად: პირველი ნაწილი განსაზღვრავს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ძირითად ბარიერებს ქალებისთვის აუცილებელი მოგერიების საქმეებზე ოჯახში ძალადობის კონტექსტში; მე-2 ნაწილში კი შეჯამებულია ძირითადი რეგიონული და საერთაშორისო სტანდარტები ამ საქმეებთან დაკავშირებით. დამატებითი რესურსებისთვის ოჯახში ძალადობის კონტექსტში აუცილებელ მოგერიებასთან დაკავშირებულ საქმეებზე სამართალწარმოების შესახებ, იხილეთ სასარგებლო რესურსების ნაწილი და ამ საკითხზე არსებული მნიშვნელოვანი პრეცედენტული საქმეების ჩამონათვალი სახელმძღვანელოს ბოლოში.

იმ ასპექტებთან დაკავშირებით, რომლებსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე სახელმძღვანელო, გირჩევთ, გაეცნოთ შემდეგ დოკუმენტებს: ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სამართალწარმოების შესახებ: ოჯახში ძალადობა და სექსუალური ძალადობა (EHRAC)[8] და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) სახელმძღვანელო გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისა (CEDAW) და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლისთვის მიმართვის შესახებ.[9]

წინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორები არიან ჯესიკა გავრონი (EHRAC-ის იურიდიული დირექტორი) და დარიანა გრიაზნოვა (EHRAC-ის სამართლებრივი მრჩეველი). სახელმძღვანელოს მომზადების იდეა უკავშირდება EHRAC-ის მიერ მოწვეულ ექსპერტთა მრგვალ მაგიდას ოჯახში ძალადობის კონტექსტში აუცილებელ მოგერიებასთან დაკავშირებულ საქმეებზე სამართალწარმოების შესახებ, რომელმაც თავი მოუყარა პრაქტიკოს ადვოკატებს სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, საქართველოდან, რუსეთიდან და უკრაინიდან. ღირებული შენიშვნებისთვის მადლობას ვუხდით თამარ დეკანოსიძეს, მარი დავთიანს, ოლგა კარაჩევას და ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, ლონდონი. განსაკუთრებული მადლობა ქეითი უილიამსს.

ტერმინოლოგია და ფარგლები

ოჯახში ძალადობა – ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტი, რომლებიც ხდება ოჯახში თუ საოჯახო მეურნეობის ერთეულში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, განურჩევლად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს ან ცხოვრობდა თუ არა.[10]

8 ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) „სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სამართალწარმოების შესახებ: ოჯახში ძალადობა და სექსუალური ძალადობა“ (2020 წლის დეკემბერი) <https://ehrac.org.uk/wp-content/uploads/2021/09/EHRAC-Guide-to-Litigating-Cases-of-Violence-Against-Women-ENG.pdf> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.
9 ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი (EHRAC) „სახელმძღვანელო გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის (CEDAW) კომიტეტისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლისთვის მიმართვის შესახებ“ (2018 წლის აგვისტო) <https://ehrac.org.uk/en_gb/resources/using-the-un-cedaw-committee-and-special-rapporteur-on-violence-against-women/> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.
10 სტამბულის კონვენცია (n 2), მუხ. 3(b).

მართალია, წინამდებარე სახელმძღვანელო, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებს გარემოებებზე, როდესაც აუცილებელი მოგერიების დროს ქალი მამრობითი სქესის ინტიმურ პარტნიორს კლავს, მაგრამ მისი შინაარსის დიდი ნაწილი ასევე შეიძლება გავრცელდეს ოჯახში ძალადობის გარემოებებზე ნათესავებს ან ოჯახის ნებისმიერ წევრს შორის, ლგბტ+ ურთიერთობებსა და ამ კონტექსტში ძალადობის შემთხვევებზე, რომლებიც სიცოცხლის მოსპობას არ მოიცავს. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თითოეული გარემოება უნიკალურია, ხოლო მართლმსაჯულების ზოგიერთი ბარიერი შესაძლოა კონკრეტული ქვეყნისთვის იყოს დამახასიათებელი ან უფრო მწვავედ ვლინდებოდეს დისკრიმინაციის ინტერსექციური ფორმების გამო.[11]

<u>მსხვერპლი/ბრალდებული</u> – სახელმძღვანელოში გამოყენებულია ტერმინი „მსხვერპლი“, როდესაც განიხილება ქალი, რომელმაც განიცადა ოჯახში ძალადობა, ხოლო ტერმინი „ბრალდებული“ , როდესაც განიხილება ქალის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში დამნაშავის როლში. არ გამოიყენება ტერმინი „გადარჩენილი“, რადგან ეს არის სამართლებრივი სახელმძღვანელო, რომელიც შეეხება ქალის სტატუსს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში.

მართლმსაჯულების ქვემოთ განსაზღვრული ძირითადი ბარიერები ეფუძნება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) სამიზნე ქვეყნების მდგომარეობის შეფასებას,

11 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია #35 (2017), პარაგრაფი 12.

1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეაგირება ქალთა მიერ განხორციელებულ აუცილებელ მოგერიებაზე ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კონტექსტში: მართლმსაჯულების ამჟამად არსებული ბარიერები

რომლებსაც,[12] როგორც წარსულში საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებს, აუცილებელი მოგერიების მსგავსი განმარტებები და ასევე, სისხლის სამართლის მსგავსი სისტემები აქვთ. მრავალი ეს დაბრკოლება ასევე რელევანტურია არა მხოლოდ ამ ქვეყნებისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.[13]

ქვემოთ მოცემული 1.1 ნაწილი განსაზღვრავს სტრუქტურულ პრობლემებს, რომლებსაც ქმნის აუცილებელი მოგერიების გენდერულად ნეიტრალური კანონმდებლობა; 1.2 ნაწილში გამოყოფილია მტკიცებულებებთან დაკავშირებული სირთულეები გამოძიების დროს და აუცილებელი მოგერიების სისხლის სამართლებრივი დევნა ოჯახში ძალადობის კონტექსტში, რაც გვიჩვენებს, თუ როგორ ვერ ახერხებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა ქალების დაცვას; 1.3 ნაწილში კი განსაზღვრულია გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც აბრკოლებს ქალებისთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობას.

1.1. საკანონმდებლო დაბრკოლებები: გენდერულად ნეიტრალური კანონმდებლობის უარყოფითი გავლენა აუცილებელ მოგერიებაზე

საკანონმდებლო ჩარჩოები ორგვარად ახდენს ქალების არახელსაყრელ პირობებში ჩაყენებას ან დისკრიმინაციას. პირველია ღიად დისკრიმინაციული სამართლებრივი დებულებები. მეორე კი გენდერულად ნეიტრალური დებულებები, რომლებიც არ ითვალისწინებს ქალთა სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას საზოგადოებაში მამაკაცებთან მიმართებით და საკანონმდებლო ხარვეზები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არაპროპორციულად ეხება ქალებს.[14] კანონმდებლობით გათვალისწინებული გენდერულად ნეიტრალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, როგორიცაა მაგალითად, აუცილებელი მოგერიება, პრობლემურია ოჯახში ძალადობის კონტექსტში, იმ თვალსაზრისით, რომ ისინი არ ასახავს განგრძობადი, მიზანმიმართული ძალადობის რეალურ ბუნებას და ქალებისათვის ართულებს მართლმსაჯულების მიღებას.

როგორც წესი, მკვლელობასთან მიმართებით არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ორი სახის გარემოებები: გარემოებები, რომლებიც სრულად გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგალითად აუცილებელი მოგერიება; და გარემოებები, რომლებიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგელობას გამორიცხავს ნაწილობრივ, როგორიცაა, მაგალითად, დამნაშავის ფსიქიკური მდგომარეობა, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება, აფექტის მდგომარეობა ან პროვოკაცია, რომლებიც სრულად არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ბრალდებულს, მაგრამ შესაძლოა, გამოიწვიოს ბრალის წაყენება უფრო მსუბუქ დანაშაულში, როგორიცაა, მაგალითად სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით. ეს განსხვავდება მსჯავრდების შემდგომი სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებებისგან, როდესაც ოჯახში ძალადობის მტკიცებულებებმა შესაძლოა გამოიწვიოს სასჯელის შემცირება.

იურისდიქციების უმრავლესობაში, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC)-ის სამიზნე რეგიონში, ძალადობის ისტორია თავისთავად არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას, არც ოფიციალურად

12 სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, რუსეთი, უკრაინა.
13 მაგ.., იხილე შენიშვნა 6.
14 დოქტორი შაზია ჩოუდრი, „ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე: სახელმძღვანელო პრაქტიკოსი იურისტებისთვის“ (2018 წლის ოქტომბერი) <https://rm.coe.int/factsheet-womens-access-to-justice/16808ff44e> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, გვ. 5.

არის აღიარებული, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება და, ფაქტობრივად, ხშირად არც წამოიჭრება და არ მიიჩნევა სათანადო მტკიცებულებად სასამართლო პროცესის დროს. ხშირად არ ხდება ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირის მთავარ მოძალადედ იდენტიფიცირება. შესაბამისად, ქალები იზღუდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი არსებული ზოგადი სამართლებრივი გარემოებებით ან მათი ინტერპრეტაციებით.

გენდერულად ნეიტრალური კანონმდებლობის ძირითადი ნაკლოვანებები მოცემულია ქვემოთ.

1.1.1. აუცილებელი მოგერიების განმარტება მამაკაცებს ეკუთვნის

აუცილებელი მოგერიების უახლესი სამართლებრივი განმარტებები ეფუძნება ზიანის გარდაუვალ საფრთხეს და თანაზომიერ რეაგირებას, რომელთაგან არც ერთი არ გამოხატავს ოჯახში ძალადობის კონტექსტის კონკრეტულ დინამიკას.[15] ამგვარად ფორმულირებული და გამოყენებული კანონმდებლობა უგულებელყოფს, მაგალითად, ქვემოთ მოცემული კონტექსტის რეალობას:

- რომ მოგერიების რეაქცია განაპირობა ძალადობის ხანგრძლივმა პერიოდმა და არა თავდასხმის ერთმა შემთხვევამ;[16]
- რომ ძალადობის მსხვერპლი ქალისთვის საფრთხე, რომელთან მიმართებითაც მან საბოლოოდ განახორციელა მოგერიება, შესაძლებელია, არ წარმოადგენდეს სიცოცხლის მოსპობის საფრთხეს და არ წარმოადგენდეს ყველაზე სერიოზულ ძალადობას;[17]
- რომ ქალმა შესაძლებელია, დაუყოვნებლივ ვერ მოახდინოს რეაგირება თავდასხმის დროს არათანაბარი ძალაუფლების/ძალის გამო და ამის ნაცვლად მოგვიანებით მოახდინოს რეაგირება, რაც არ იქნება მიჩნეული მყისიერი საფრთხის საპასუხო ქმედებად.[18]

როდესაც არსებობს დროში განსხვავება საწყის თავდასხმასა და ქალის რეაგირებას შორის, როგორც წესი, სასამართლო ბრალდებულის მოქმედებას განმარტავს, როგორც შურისძიების მოტივით ჩადენილ ქმედებას და არა როგორც აუცილებელ მოგერიებას.[19] აუცილებელი მოგერიების უფლებაც შემზღუდველად განიმარტება, როგორც მხოლოდ მიმდინარე ძალადობის მყისიერი მოგერიება.

შესაბამისად, კანონი არარეალისტურ ზღვარს აწესებს აუცილებელი მოგერიების გამოყენებასთან დაკავშირებით იმ შემთხვევებში, როდესაც ქალი თავს იცავს მოძალადე პარტნიორისგან. ისტორიულად, კანონი შეიქმნა და განისაზღვრა „გონიერი მამაკაცისთვის", მამაკაცსა და მამაკაცს შორის ძალადობის კონტექსტში, შესაბამისად, არ იძლევა იმის აღიარების შესაძლებლობას, რომ:

- ოჯახში ძალადობის მსხვერპლები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან,[20] ხოლო ოჯახში ძალადობა სერიოზულ გავლენას ახდენს მსხვერპლის ფსიქიკურ მდგომარეობაზე;[21]

15 ციხის საერთაშორისო რეფორმა (n 6)
16 MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტი (n 6), ; ციხის საერთაშორისო რეფორმა (n 6), გვ. 5.
17 MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტი (n 6)
18 ციხის საერთაშორისო რეფორმა (n 6)
19 დარიანა გრიაზნოვა, «Право жертв домашнего насилия на необходимую оборону: стереотипы и предрассудки в решениях российских судов (ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა აუცილებელი მოგერიების უფლება: სტერეოტიპები და ცრურწმენები რუსეთის სასამართლოს გადაწყვეტილებებში)' (EHRAC, 2020 წლის 6 ოქტომბერი) <https://ehrac.org.uk/en_gb/resources/the-right-of-victims-of-domestic-violence-to-self-defence-stereotypes-and-prejudices-in-the-decisions-of-russian-courts/> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, გვ. 6.
20 საქმე „ტალპისი იტალიის წინააღმდეგ" (Talpis v Italy) განაცხადი № 41237/14 (ECtHR, 2017 წლის 2 მარტი), პარაგრაფი 99; საქმე „ტ. მ. და ს. მ. მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ" (T.M and C.M v the Republic of Moldova) განაცხადი № 26608/11 (ECtHR, 2014 წლის 28 იანვარი), პარაგრაფი 46.
21 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ქალთა მიმართ ძალადობის გაგება და გადაწყვეტა" (2012) <https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/77431/WHO_RHR_12.43_eng.pdf?sequence=1> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, გვ. 5.

- ქალებსა და მამაკაცებს შორის ფიზიკური ძალის დისბალანსი არსებობს;
- გენდერული სოციალიზაცია ქალებს არ აძლევს მექანიზმებს, რათა „გონივრული“ (აუცილებელი მოგერიების შესახებ მამაკაცების მიერ შექმნილი კანონმდებლობის შესაბამისი) რეაგირება მოახდინონ თავდასხმაზე. კერძოდ, ქალების უმრავლესობას არასდროს უსწავლია ფიზიკურ საფრთხეზე რეაგირება და იარაღის გამოყენება;[22]
- ოჯახში ძალადობა არაპროპორციულად შეეხება ქალებს;[23]
- ძალიან ხშირად ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს ზურგს აქცევს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც ვერ ახერხებს დაცვის ზომების გამოყენებას ქალებისა და გოგონების შემთხვევაში,[24] ამიტომ ისინი ფიქრობენ, რომ ვერ მიიღებენ ძალადობისგან დაცვას და უსაფრთხოებას; და
- მიუხედავად იმისა, რომ ქალების მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზი ხშირად ოჯახში ძალადობაა,[25] ოჯახში ძალადობის ისტორია ხშირად არ მიიჩნევა სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისთვის რელევანტურ ფაქტორად.[26]

შესაბამისად, აუცილებელი მოგერიების შესახებ გენდერულად ნეიტრალური კანონმდებლობა განსხვავებულად არ ეპყრობა ქალებს, რომელთა მდგომარეობა აუცილებელ მოგერიებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად განსხვავდება მამაკაცებისგან.

1.1.2. ოჯახში ძალადობის კრიმინალიზების არარსებობა

კიდევ ერთი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ყველა იურისდიქცია არ აწესებს ოჯახში ძალადობის ყველა ფორმის, მაგ. არასასიკვდილო გაგუდვის, ასფიქსიაციის, იძულებითი და მაკონტროლებელი ქცევის კრიმინალიზაციას.[27] შესაბამისად, რადგან აუცილებელი მოგერიების ერთ-ერთი ელემენტი არის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის არსებობა, ზოგიერთ იურისდიქციას უჭირს, აღიაროს აუცილებელი მოგერიების უფლება ძალადობის ისეთ ფორმებთან მიმართებით, რომლებიც პირდაპირ არ არის კრიმინალიზებული და რომლებიც ხშირად არ აღიქმება პრობლემურად.

ოჯახში ძალადობისთვის დამახასიათებელი ქმედებების კრიმინალიზების არარსებობა დამატებით სირთულეებს ქმნის იმ თვალსაზრისით, რომ ამ ქმედებასთან მიმართებით არ არსებობს ნასამართლობა და საერთოდ არ ხდება ასეთი ქმედებების ძალადობის ისტორიად აღიარება, რათა მოხდეს პასუხისმგებლობის გამომრიცხვა/შემსუბუქება. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევების უმრავლესობა შეუტყობინებელი რჩება.[28] შესაბამისად, ისედაც რთულია ასეთი ძალადობის დადასტურება.[29]

22 MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტი (n 6).
23 იხილე შენიშვნა 2.
24 მაგ., ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, „ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი (CWJ) სუპერ საჩივარს იწყებს: პოლიციის მიერ დაცვის ღონისძიებების გამოუყენებლობა ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ ძალადობის შემთხვევებში“ (20 მარტი, 2019) <https://www.centreforwomensjustice.org.uk/news/2019/3/20/cwj-launch-super-complaint-police-failure-to-use-protective-measures-in-cases-involving-violence-against-women-and-girls> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს; Human Rights Watch, „«შემეძლო მომეკალი და ვერავინ გამაჩერებდა »: სახელმწიფოს სუსტი რეაგირება ოჯახში ძალადობაზე რუსეთში“ (2018) <https://www.hrw.org/sites/default/files/report_pdf/russia1018_web3.pdf> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.
25 შენიშვნა
26 მაგ. გრიაზნოვა (n 20)
27 კერძოდ, აზერბაიჯანს და რუსეთს არ აქვთ რატიფიცირებული სტამბულის კონვენცია. რუსეთის სამართლებრივ სისტემაში არ არსებობს არც ცალკე კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან ოჯახში ძალადობის შესახებ და არც ქალთა მიმართ ძალადობის ან ოჯახში ძალადობის შესახებ განმარტებები გვხვდება კანონმდებლობაში.
28 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „ფაქტები და მონაცემები: ქალთა მიმართ ძალადობის დასრულება“ <https://www.unwomen.org/en/what-we-do/ending-violence-against-women/facts-and-figures#notes> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს; ასევე იხილეთ საქმე „ტ. მ. და ს. მ. მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ“ (T.M and C.M v the Republic of Moldova) განაცხადი № 26608/11 (ECtHR, 2014 წლის 28 იანვარი), პარაგრაფი 60.
29 ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, ანგარიში “ქალები, რომლებიც კლავენ“ (n 6), გვ. 122.

1.1.3. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემების რეაგირება: საუკეთესო პრაქტიკა

საუკეთესო პრაქტიკის ქვემოთ მოცემული ანალიზი ეფუძნება იურისდიქციების კვლევას (ავსტრალია, ბრაზილია, ჰონგ-კონგი, ინდოეთი, იაპონია, მექსიკა, პოლონეთი, ესპანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები), რომელიც ჩაატარა ორგანიზაცია "ციხის საერთაშორისო რეფორმამ"[30] და ქალთა მართლმსაჯულების ცენტრის (ლონდონი) მომავალ ანგარიშს აუცილებელი მოგერიების შესახებ კანონებთან დაკავშირებით ავსტრალიაში, კანადაში, ინგლისსა და უელსში, ახალ ზელანდიაში და რუსეთში.[31]

იმის მიუხედავად, რომ გლობალურად ცნობილია ქალთა ვიქტიმიზაციასა და მათ მიერ დანაშაულის ჩადენას შორის კავშირზე (კერძოდ „ძალადობის მსხვერპლ ქალთა სინდრომი" უკვე აღიარებული იყო 1979 წელს, იხ. ნაწილი 2.2.3 ქვემოთ), ძალიან ცოტა იურისდიქციამ შეიმუშავა გენდერულად უფრო მგრძნობიარე მიდგომები იმ ქალებთან დაკავშირებით, რომლებმაც ძალადობრივი დანაშაული ჩაიდინეს მოძალადის მიმართ.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში:

- ბრალდებულს შეუძლია ექსპერტი მოწმის ჩვენების გამოყენება, რათა დაეხმაროს ნაფიც მსაჯულებს, გაიგონ ძალადობის მსხვერპლ ქალთა ქცევის ფორმები/პატერნები და ის, თუ როგორ მოქმედებს ძალადობა ბრალდებულის ქმედებებსა და ქცევაზე.[32]
- ნიუ ჯერსის შტატის კანონმდებლობა ძალადობის ისტორიას პირდაპირ რელევანტურად მიიჩნევს იმის დასასაბუთებლად, რომ პირი იძულების ქვეშ მოქმედებდა. თუმცა, ის ფაქტი, რომ პირი იძულების ქვეშ იყო, მხოლოდ ნაწილობრივ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან და მკვლელობის ბრალდების გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ბრალდებით შეცვლა შეუძლია.[33]
- ფლორიდის შტატში „ძალადობის მსხვერპლი ქალის სინდრომს" ცალკე თავი ეთმობა სისხლის სამართლის ბრალდებებზე პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხებში.[34]
- არსებობს კალიფორნიის შტატის კანონმდებლობის მაგალითები, სადაც ისტორიული დანაშაულების ხელახალი შეფასება განხორციელდა, რადგან ინტიმურ პარტნიორზე ძალადობის მტკიცებულებები გამოიწვევდა მსჯავრდებას ნაკლებად მძიმე დანაშაულში.[35]
- თითოეულ შტატში არსებობს დიდი რაოდენობით სამეცნიერო ცოდნა „ძალადობის მსხვერპლი ქალის სინდრომისა" და ძალადობის მსხვერპლი ქალების ფსიქოლოგიის შესახებ. სასამართლო სისტემაში ვრცელი დისკუსია მიმდინარეობს შიჰანის საქმესთან დაკავშირებით (ნიუ-იორკი).[36]

ავსტრალიაში ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს მნიშვნელოვანი რეფორმა იმ მიდგომის საპასუხოდ, რომ ძალადობრივ დანაშაულებთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების „ტრადიციული" გარემოებები ხშირად მოქმედებს მამაკაცების სასარგებლოდ და „ძალადობის მსხვერპლი ქალის სინდრომის" მქონე ქალებისა და დაგროვილი ბრაზის რეაქციის

30 ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმა" (n 6).
31 ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა კრიმინალიზება სახელმწიფოს მხრიდან, ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, ლონდონი (გამოქვეყნება იგეგმება 2022 წელს)
32 ციხის საერთაშორისო რეფორმა(n 6)
33 იქვე.
34 იქვე.
35 იქვე.
36 იქვე, გვ. 19. დან ბილევსკი, „ცოლი, რომელმაც 11-ჯერ ისროლა უდანაშაულოდ იქნა ცნობილი მკვლელობის ბრალდებაში" (ნიუ-იორკ ტაიმსი, 2011 წლის 06 ოქტომბერი) <https://www.nytimes.com/2011/10/07/nyregion/barbara-sheehan-who-killed-husband-is-found-not-guilty-of-murder.html> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.

საწინააღმდეგოდ (დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ 2.2.3 სექცია ქვემოთ).[37] ავსტრალიის თითოეულ შტატს და ტერიტორიას სამართლის რეფორმების დამოუკიდებელი კომისია ჰყავს და ამავე დროს, არსებობს ავსტრალიის სამართლებრივი რეფორმების ფედერალური კომისია. სამართლებრივი რეფორმების აღნიშნული კომისიების უმრავლესობას დაწერილი აქვს ანგარიშები იმაზე, თუ როგორ რეაგირებას ახდენს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სათანადო სისტემა ძალადობაგამოვლილ სამართალდამრღვევ ქალებზე და, ხშირ შემთხვევაში, საკანონმდებლო რეფორმა ამ ანგარიშების შედეგად დაიწყო.[38] მაგალითად:

- კვინსლენდის შტატში დაინერგა პასუხისმგებლობისგან ნაწილობრივი გათავისუფლების კონკრეტული გარემოება: „მკვლელობა თავდაცვის მიზნით ძალადობრივი ურთიერთობის კონტექსტში“.[39]

- ვიქტორიას შტატში დაინერგა „სოციალური მტკიცებულების“ შემოტანის კანონმდებლობა, რომელიც ოჯახში ძალადობის ხასიათისა და დინამიკის შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობას იძლევა.[40] ამასთან, 2014 წელს გატარებული საკანონმდებლო რეფორმების ფარგლებში აუცილებელ მოგერიებასთან დაკავშირებით დაინერგა გამარტივებული ტესტები და ახალი მითითებები ნაფიცი მსაჯულებისთვის ოჯახში ძალადობასთან მიმართებით. [41]

- დასავლეთ ავსტრალიაში უკვე გაუქმდა მკვლელობასთან დაკავშირებით სავალდებულო სამუდამო პატიმრობა და ძალადობის მსხვერპლთა მიერ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისთვის გამოიყენება არასაპატიმრო სასჯელები.[42] ამასთან, დასავლეთ ავსტრალიაში, თუ დადგინდა, რომ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ჩადენა პროვოკაციის გამო მოხდა, კოგამოიყენება არასაპატიმრო სასჯელი.[43]

- ახალი სამხრეთ უელსის შტატის სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ წარსულში ძალადობის ისტორია, მათ შორის „ძალადობის მსხვერპლი ქალის სინდრომი“, პრაქტიკულაში მხედველობაში მიიღება განაჩენის გამოტანისას, რაც იწვევს მოკლევადიანი ან არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებას.[44]

თუმცა, ამ შემთხვევებში ასევე არსებითად მნიშვნელოვანია კანონმდებლობის იმპლემენტაცია და სასჯელის შეფარდების გაიდლაინების არსებობა. მაგალითად, მართალია, რუსეთის კანონმდებლობა აუცილებელი მოგერიების შესახებ ხელს არ უშლის სასამართლოს ოჯახში ძალადობის ისტორიისა და კონტექსტის გათვალისწინებაში,[45] მაგრამ იმ შემთხვევებში, სადაც ამ კონტექსტს მოიხმობენ, როგორც წესი, ხდება მისი უგულებელყოფა.[46] უდანაშაულოდ ცნობა გამონაკლისს წარმოადგენს რუსეთის მართლმსაჯულების სისტემის ბრალდების მხარის მიმართ არსებული მიკერძოების გამო ამ კატეგორიის საქმეებთან მიმართებით, ოჯახში ძალადობის ყველაზე უფრო შემაძრწუნებელ საქმეებშიც კი.[47] როგორც 1.2 და 1.3 ნაწილებიდან ჩანს, მტკიცებულებებსთან დაკავშირებული სირთულეები და სტერეოტიპები მართლმსაჯულების სისტემაში ქალების წინააღმდეგ მოქმედებს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არსებობს პროგრესული საკანონმდებლო დებულებები.

შესაბამისად, შედარებით პოზიტიური მაგალითების მიუხედავად, „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ 2016 წლის ანგარიში „ქალები, რომლებიც კლავენ ოჯახში ძალადობაზე საპასუხოდ” ასკვნის, რომ „მრავალ იურისდიქციაში არსებული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები არასათანადოდ მორგებული აღმოჩნდა ქალისთვის, რომელსაც აქვს „ძალადობის

37 ციხის საერთაშორისო რეფორმა (n 6), გვ. 9.
38 იქვე, გვ. 18.
39 იქვე, გვ. 5.
40 იქვე, გვ. 5.
41 იქვე, გვ. 10.
42 იქვე, გვ. 7
43 იქვე, გვ. 7
44 იქვე, გვ. 7
45 მაგ. გრიაზნოვა (n 20), გვ. 2-დან.
46 იქვე, გვ. 5-დან.
47 იქვე, გვ. 21.

მსხვერპლი ქალის სინდრომი ან დაგროვილი ბრაზის რეაქცია“.[48]

1.1.4. ძალადობის ისტორია, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება სამოსამართლო დისკრეციის საკითხია

იურისდიქციების უმრავლესობაში, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) სამიზნე რეგიონში, არ არსებობს კონკრეტული საკანონმდებლო დებულებები ძალადობის ისტორიის შემამსუბუქებელ გარემოებად განსახილველად, რომ აღარაფერი ვთქვათ პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარმოებად მის მიჩნევაზე . ვინაიდან სასჯელის შემსუბუქების საკითხი უნდა დაისვას სისხლის სამართლის არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში, რამდენად მოხდება ძალადობის ისტორიის, როგორც შემამსუბუქებელი გარემოების გათვალისწინება, რადიკალურად განსხვავდება სხვადასხვა იურისდიქციაში.[49] უფრო მეტიც, ძალადობის ისტორიისთვის მინიჭებული წონა დიდწილად კონკრეტული მოსამართლის დისკრეციად რჩება, რაზეც შეიძლება გავლენა მოახდინოს გენდერულმა სტერეოტიპებმა (იხ. ნაწილი 1.3).

1.1.5. საკანონმდებლო დაბრკოლებები: დასკვნა

რომ შევაჯამოთ, კანონმდებლობა აუცილებელი მოგერიების შესახებ შემზღუდველია, ხოლო მისი პრაქტიკაში განხორციელება კიდევ უფრო შემზღუდველი. ოჯახში ძალადობის მსხვერპლები, როგორც წესი, ვერ აკმაყოფილებენ აუცილებელი მოგერიების ტრადიციულ მოთხოვნებს. ისეთი საკითხები, როგორიცაა გარდაუვალი ზიანი და აუცილებელი მოგერიების თანაზომიერება, ტრადიციული გაგებისა და გამოყენების შემთხვევაში დაბრკოლებებს უქმნიან იმ ქალებს, რომლებიც მოძალადეს ზიანს აყენებენ,მიაღწიონ სამართალს.

შესაბამისად, სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამჟამად ისე არის ჩამოყალიბებული, განმარტებული და დანერგილი, რომ, ამ სიტუაციაში, ხშირად ხდება ქალების მსჯავრდება განზრახ მკვლელობისთვის. ამიტომ ისე ხდება, რომ „ქალები [ოჯახში ძალადობის მსხვერპლები], რომლებიც კლავენ პარტნიორს, როგორც წესი, უფრო ხანგრძლივ საპატიმრო სასჯელს იხდიან, ვიდრე მამაკაცები, რომლებიც გამუდმებით ჩადიან ოჯახში ძალადობის უკიდურეს და სასიკვდილო ფორმას” და რომლებიც, მათგან განსხვავებით, როგორც წესი, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისთვის იხდიან სასჯელს (რადგან მათთან დაკავშირებით მიიჩნევა, რომ მოქმედებდნენ წინასწარი განზრახვის გარეშე).[50]

სტამბულის კონვენცია და გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW) ყურადღებას ამახვილებენ, რომ ფორმალური თანასწორობა, როგორიცაა, მაგალითად, გენდერულად ნეიტრალური კანონმდებლობა, არასაკმარისია და საჭიროა არსებითი თანასწორობის მიდგომა.[51] კომიტეტის შეხედულებით, „წმინდად ფორმალური იურიდიული გეგმაზომიერი მიდგომა არასაკმარისია ქალთა დე ფაქტო თანასწორობის მისაღწევად მამაკაცებთან, რაც, კომიტეტის ინტერპრეტაციით, წარმოადგენს არსებით თანასწორობას“.[52]

48 ციხის საერთაშორისო რეფორმა (n 6), გვ. 5
49 იქვე, გვ. 5.
50 ელიზაბეტ დუბანი, დოქტორი ივანა რადაჩიკი და სხვ., „სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ” (CoE, სექტემბერი, 2017) <https://rm.coe.int/training-manual-women-access-to-justice/16808d78c5> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, გვ. 92.
51 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 33(2015), პარაგრაფები 6, 22; სტამბულის კონვენცია (n 2), მუხლი 1(1)(ბ).
52 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 28 (2010), პარაგრაფი 8.

1.2. მტკიცებულებებთან დაკავშირებული გამოწვევები: ქალების მიერ „საუკეთესო ჩვენების“ მიცემის შეუძლებლობა

ქვემოთ მოცემულია გავრცელებული სირთულეები მტკიცებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც დაბრკოლებას უქმნის მართლმსაჯულებას და უნდა გასაჩივრდეს:

i. გენდერულად მგრძნობიარე პროცედურების არარსებობა სამართლებრივ სისტემაში.[53] მართალია, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW) მოუწოდებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლების მიერ საქმეების გენდერულად მგრძნობიარე ფორმით მართვა ,[54] ქალების მიერ განცდილი ტკივილისა და ტანჯვის გაცნობიერება,[55] სამართალდამცავი ორგანოები და ადვოკატებიც კი ხშირად ვერ ახერხებენ ნდობის მოპოვებას, რათა შესაძლებელი გახადონ ქალების მიერ ინფორმაციის გამჟღავნება და ინციდენტის ისტორიისა და კონტექსტის სრულფასოვანი გამოძიება. სწორედ ამ მიზეზების გამო, ხშირად ქალები გვიან იწყებენ ძალადობის შესახებ საუბარს, ზოგიერთი ქალი კი მხოლოდ დამნაშავედ ცნობის შემდეგ ამხელს ძალადობას.[56]

ii. აღქმა, რომ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა პირადი/ოჯახის/არასერიოზული საკითხია ან/და ერთეული შემთხვევების ერთობლიობაა. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოები ვერ ახერხებენ ძალადობის ისტორიის შესახებ გაგებას ან მასზე მტკიცებულებების მოპოვებას. თუმცა, ქალი, რომელიც ძალადობით რეაგირებს ოჯახში ძალადობაზე, მაინც ოჯახში ძალადობის მსხვერპლად რჩება (იხ. 2.2.2 ნაწილი). ანალოგიურად, მსხვერპლი ქალები ხშირად თავად არ წყვეტენ ისაუბრონ ძალადობის ისტორიის შესახებ ან განზრახ არ ამჟღავნებენ მსხვერპლად ყოფნის ისტორიას, მაგალითად დანაშაულის გრძნობის გამო თავიანთ ჩადენილ ქმედებასთან დაკავშირებით და იმიტომ, რომ „არ სურთ, უარყოფითად ისაუბრონ მამაკაცის შესახებ, რომელიც „უყვარდათ““[57] ან მათზე კულტურული თუ რელიგიური შეზღუდვების გავლენის გამო.[58] ამის გამო სამართალდამცავი ორგანოები ხშირად ვერ ახერხებენ თავდაპირველი ან მთავარი მოძალადის განსაზღვრას.[59]

iii. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის დამახასიათებელი ქცევის არცოდნა, მათ შორის ის, რომ ინტიმური პარტნიორის მხრიდან[60] ძალადობის მსხვერპლი სხვადასხვა მიზეზის გამო არ თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან და არ საუბრობს ძალადობის ისტორიის შესახებ, რადგან ვერ ახდენს მოძალადის ქცევის, როგორც ძალადობრივი ქცევის იდენტიფიცირებას.[61] ან კიდევ უფრო მოწყვლადები არიან კულტურული თუ რელიგიური შეზღუდვების გამო[62] ან, მიგრანტი ქალების შემთხვევაში, საიმიგრაციო სამსახურის შიშის გამო.[63]

---

53 ჩოუდრი (n 15), გვ. 6.
54CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 33 (2015), პარაგრაფი 15(c).
55 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 35 (2017), პარაგრაფი 17.
56 ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, „ქალები, რომლებიც კლავენ: მოკლე მიმოხილვა“ (2021 წელი) <https://static1.squarespace.com/static/5aa98420f2e6b1ba0c874e42/t/60280e0c38834d367d927c76/1613237775302/CWJ_WomenWhoKill_Summary_WEB.pdf> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, გვ. 6.
57 ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, ანგარიში „ქალები, რომლებიც კლავენ“ (n 6), გვ. 9.
58 იქვე, გვ. 121.
59 გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), 'სახელმძღვანელო ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის ეფექტური სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ' (2014) <https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Handbook_on_effective_prosecution_responses_to_violence_against_women_and_girls.pdf> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, გვ. 85.
60 იქვე, გვ. 62.
61 ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, ანგარიში „ქალები, რომლებიც კლავენ“ (n 6), დანართი 2 გვ. 122.
62 იქვე. დანართი 2, გვ. 121
63 ციხის რეფორმის ტრასტი, „კვლავაც გამოსავლის გარეშე: უცხოელი და ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალები სისხლის

iv. პროკურატურისა და სასამართლოს მიერ ქალზე თავდასხმის დროს არსებული საფრთხის დონის შეფასების დაფუძნება თავდასხმის ფაქტობრივ შედეგებზე და არა მსხვერპლის/ბრალდებულის მიერ ზიანის აღქმაზე თავდასხმის დროს და იმ შესაძლო ზიანზე, რომელიც თავიდან იქნა აცილებული თავდაცვითი მოქმედების შედეგად. ხშირ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ადგენს, რომ ქალისთვის მიყენებული დაზიანება არ წარმოადგენდა სერიოზულ ზიანს, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომ თავდასხმა არ წარმოადგენდა საფრთხეს სიცოცხლისთვის, შესაბამისად, უარყოფს ქალის მხრიდან აუცილებელი მოგერიების უფლებას ყველა საშუალების გამოყენებით.[64] თუმცა, თავად აუცილებელი მოგერიების უფლების ბუნება გულისხმობს ზიანისგან დაცვას - „მსხვერპლი ვალდებული არ იყო, დალოდებოდა ფაქტობრივი ძალადობის წინა მომენტს"; [65]

v. პოლიციის საოქმო ჩანაწერებში ოჯახში ძალადობის შესახებ შეტყობინებების არ აღრიცხვა და სისხლის სამართლებრივი დევნის არდაწყება, მათ შორის, ქალის მიერ განცდილი ძალადობის მინიმიზება, რის შედეგადაც ხდება დასკვნის გამოტანა, რომ არ არსებობს დანაშაულის ნიშნები;

vi. მტკიცებულებების გამყარების მოთხოვნა ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემთხვევაში;

vii. ქალისთვის ფსიქოლოგიური დახმარების არ გაწევა, რაც დაეხმარებოდა მსხვერპლს განცდილი ძალადობის შესახებ საუბარში;

viii. შეუსაბამოდ ვიწრო სასამართლო ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული შეფასებები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს იმაზე, შეეძლო თუ არა ქალს საკუთარი თავის კონტროლი, აქვს თუ არა ფსიქიკური აშლილობები და საჭიროებს თუ არა იძულებითი სამედიცინო ზომების მიღებას. ამასთან, არ მოიცავს და არ ახდენს მსხვერპლის შეფასებას ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის გავლენასა და მის შედეგებთან დაკავშირებით. კერძოდ, ამგვარი შეფასებები ხშირად გამოიყენება ოჯახში ძალადობის ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლის სანდოობის შესაფასებლად და ეჭვქვეშ დასაყენებლად[66] (ქვემოთ იხილეთ ნაწილი 2.4.4 ექსპერტიზის გამოყენების შესახებ).

ix. მართლმსაჯულების პროცესში თარგმანის სრული ან ადეკვატური ხარისხით არარსებობა იმ ქალებისთვის, რომლებსაც ენის ბარიერი აქვთ, მათ შორის, კვალიფიციური ქალი თარჯიმნების ხელმისაწვდომობა.[67]

მტკიცებულებებთან დაკავშირებით ზემოხსენებული დაბრკოლებების გამო, ძალიან ხშირად არ ხდება ძალადობის შეტყობინება, მისი ადეკვატური აღრიცხვა და შესაბამისი მოქმედებების განხორციელება. შესაბამისად, არ ხდება ამის სათანადოდ დოკუმენტირება, ამ საკითხის წამოჭრა ან (ზოგიერთ შემთხვევაში) გაცნობიერება ბრალდებულის, მისი ადვოკატის ან სასამართლოს მხრიდან, რაც ხელს უწყობს ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომ აუცილებელი მოგერიება არ იყო გამართლებული და თანაზომიერი.

მართლმსაჯულების მთლიანი სისტემა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც

სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში" (2018) http://www.prisonreformtrust.org.uk/Portals/0/Documents/Still%20No%20Way%20Out%20full%20report.pdf წვდომა 29 ოქტომბერი 2021, გვ. 6.

64 გრიაზნოვა (n 20), გვ. 11.

65 MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტი (n 6), გვ. 5.

66 საქართველოს პრაქტიკასთან დაკავშირებით, იხილეთ, მაგალითად, ორგანიზაციის Equality Now და საქართველოში მოქმედი 11 არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივი ალტერნატიული ანგარიში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განხორციელების შესახებ საქართველოში სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით, რომელიც 2021 წლის ოქტომბერში წარედგინა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის (GREVIO) კომიტეტს., გვ. 18-19. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://bit.ly/3jpf8GR (დანართი 25 გვ. 140-141). ასევე, ქვემოთ იხილეთ შენიშვნები 76-79. ასევე, სექსუალური ძალადობის შესახებ (mutatis mutandi ოჯახში ძალადობა): გაეროს განახლებული სტრატეგიული მოდელები და პრაქტიკული ზომები ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის შესახებ, სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციისა და მართლმსაჯულების სფეროში, მუხლი 15 (დ), (ე), (ვ) და გაეროს ქალთა ორგანიზაცია, სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობის შესახებ, 2012, პარაგრაფი. 3.9.6. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://bit.ly/3aQt2gi; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) პროცედურისა და მტკიცების წესები (2013), წესი 70(დ).

67 ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, „ქალები, რომლებიც კლავენ" (n6), დანართი 2, გვ 128

ურთიერთდაკავშირებული ნაბიჯების ჯაჭვი ან წყება.[68] შესაბამისად, „ქალის შესაძლებლობა, რომ მართლმსაჯულების ჯაჭვში გადაადგილდეს, დამოკიდებულია იმაზე, შეხვდება თუ არა მას ამ გზაზე ბარიერები და იმაზე, თუ რა არჩევანი აქვს მას ამ ბარიერების გადასალახად".[69] ეს აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ისტორიისა და კონტექსტის სიღრმისეულად შეფასება ქალის მიერ ინტიმური პარტნიორის მკვლელობის საქმეებში.

1.3. სტერეოტიპები: ძირითადი დაბრკოლება ქალისთვის მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის თვალსაზრისით

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სტერეოტიპები და სტერეოტიპული აღქმები უდიდეს გავლენას ახდენენ ქალზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში.[70] გენდერული სტერეოტიპი განისაზღვრება, როგორც „განზოგადებული შეხედულება ან წინასწარი განწყობა იმ თვისებების ან მახასიათებლების შესახებ, რომლებიც აქვთ, ან იმ როლების შესახებ, რომლებსაც ასრულებენ, ან უნდა ასრულებდნენ მამაკაცები და ქალები".[71] სტერეოტიპები აღიარებულია, როგორც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის და ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით სტრუქტურული ძალადობის ძირეული მიზეზი და განსაკუთრებით საზიანოა ოჯახში ძალადობის კონტექსტში.[72] გედერული სტერეოტიპები განმტკიცებულია „სხვადასხვა საშუალებისა და ინსტიტუტების, მათ შორის კანონმდებლობისა და სამართლებრივი სისტემების დახმარებით" და „სახელმწიფოს ყველა შტოსა და დონეზე არსებული სახელმწიფო სუბიექტებისა და კერძო სუბიექტების მიერ".[73] სამართალდამცავი ორგანოებისა და მოსამართლეების მონაწილეობა სტერეოტიპების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით საზიანოა, რადგან ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ მიუკერძოებლობას და იწვევს გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც შესაბამისი კანონმდებლობის, ფაქტებისა და გამოძიების ნაცვლად წინასწარ შექმნილ რწმენებს ეფუძნება. სტერეოტიპული აღქმების გამო სახელმწიფო ორგანოები უშვებენ შეუსაბამო ან წინასწარ განწყობებზე დაფუძნებული მტკიცებულებებს და უგულებელყოფენ სათანადო მტკიცებულებებს.[74] გენდერული მიკერძოება იწვევს ქალების გამოცდილების არასათანადო გაგებას ან გათვალისწინებას, მაგალითად, ქალების რეაგირების შედარებას მსგავს სიტუაციაში მყოფი მამაკაცის მოქმედებასთან და განცდებთან, ან იმასთან, თუ როგორ უნდა იქცეოდეს „ნორმალური" ქალი; გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხის, მაგალითად ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ციკლისა და მსხვერპლზე მისი გავლენის არცოდნის გამოვლენას.[75] ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ დამატებითი ფაქტორები, რომლებმაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ინტერსექციური დისკრიმინაცია, მაგალითად, სტერეოტიპები იმაზე, თუ კონკრეტულ კულტურულ თუ რელიგიურ კონტექსტში როგორი ქცევაა მოსალოდნელი

68 დუბანი (n 52), გვ. 16.
69 იქვე.
70 გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ დაკვეთილი ანგარიში „გენდერული სტერეოტიპები, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა" (2013 წლის ოქტომბერი) <https://www.ohchr.org/EN/Issues/Women/WRGS/Pages/PublicationsAndResources.aspx> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.
71 იქვე, გვ. 18.
72 CEDAW, X. and Y. v Russia (CEDAW/C/73/D/100/2016), პარაგრაფი 9.9; CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 19 (1992), პარაგრაფი 11; CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 35 (2017), პარაგრაფი 19.
73 CEDAW, X. and Y. v Russia (CEDAW/C/73/D/100/2016), პარაგრაფი 9.9.
74 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 33 (2015), პარაგრაფი 26; გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), „სახელმძღვანელო სასამართლოსთვის ქალებისა და გოგონების მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ეფექტური რეაგირების შესახებ" (2019) <https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/HB_for_the_Judiciary_on_Effective_Criminal_Justice_Women_and_Girls_E_ebook.pdf> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, გვ. 32.
75 ჩოუდრი (n 15), გვ. 29-30.

ქალებისგან.[76]

როგორც ზემოთ აღინიშნა, სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ქალების უმრავლესობა, რომლებიც კლავენ პარტნიორს, ასე იქცევიან თავდასხმისგან თავის დაცვის მიზნით, ძალადობრივი ურთიერთობის კონტექსტში. თუმცა, საბოლოოდ, ხშირად ხდება მათი დამნაშავედ ცნობა მკვლელობაში.[77] ამ განაჩენებს საფუძვლად უდევს გენდერული ასპექტისა და კონტექსტის გაუთვალისწინებლობა და ამის ნაცვლად გენდერული სტერეოტიპებით მოქმედება აუცილებელი მოგერიების უფლების აშკარად გენდერულად ნეიტრალური ინტერპრეტაციის პირობებში.

გავრცელებული პრობლემური წინასწარგანწყობები:

i. ძალადობას ინტიმური პარტნიორის მხრიდან სამართალდამცავი ორგანოები ჯერ ისევ ხშირად მიიჩნევენ პირად საკითხად. ისინი სისხლის სამართლის დანაშაულს ინტიმურ პარტნიორებს შორის ნაკლებად სერიოზულად აღიქვამენ და ძალადობას ხშირად „პირად მტრობას“, „კამათს“, „კონფლიქტს“ ან „შეხლა-შემოხლას“ უწოდებენ.[78] იმ ფაქტის უგულებელყოფით, რომ ინტიმური პარტნიორის ძალადობა ადამიანის უფლებათა სპეციფიკური და სისტემური დარღვევაა, რომელსაც მრავალი ასპექტი გააჩნია და სერიოზულ შედეგებს იწვევს, სამართალდამცავი ორგანოები სათანადოდ ვერ აფასებენ ინტიმური პარტნიორის მიერ ჩადენილი ძალადობით გამოწვეული ზიანის სერიოზულობას და მნიშვნელობას და არ სჯერათ, რომ მსხვერპლი სიკვდილის ან დაზიანების საფრთხის წინაშე იყო;

ii. სამართალდამცავი ორგანოები აგრძელებენ, განამტკიცებენ და იყენებენ სტერეოტიპებს ინტიმური პარტნიორის მიერ ჩადენილი ძალადობის „იდეალური მსხვერპლისა“ და ძალადობაზე ქალების რეაგირების შესახებ. მითები იდეალური მსხვერპლის შესახებ ეჭვქვეშ აყენებს რეალური მსხვერპლის სანდოობას და მის რეაგირებას არაკეთილგონივრულისა და უკანონოს იარლიყს აწებებს. ყველაზე საყოველთაოდ გავრცელებული სტერეოტიპი არის დაშვება, რომ თუ მოძალადე ინტიმური პარტნიორის მსხვერპლი რჩებოდა ძალადობრივ ურთიერთობაში, ეს ან კომფორტული იყო მისთვის, ან ძალადობა არ იყო საკმარისად სერიოზული (მითი „რატომ არ წავიდა მისგან?“).[79] ამასთან დაკავშირებულია მითი, რომ თუ მსხვერპლს ამის შესახებ არ განუცხადებია პოლიციაში, იგი სერიოზულად არ ნერვიულობდა საკუთარი უსაფრთხოების შესახებ;[80]

iii. თავის დასაცავად ქალების მიერ გამოყენებული საშუალებების „გონივრულობის“ შეფასება ასევე სტერეოტიპული შეიძლება იყოს. ერთი მხრივ, არსებობს აღქმა, რომ ფიზიკური თავდასხმა „მამაკაცის“ პრივილეგიაა და ქალი უნდა იყოს სუსტი, პასიური და უმწეო. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოები იყენებენ სტერეოტიპებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოიქცეს ქალი ძალადობის მოგერიების დროს, მაგალითად: გაიქცეს, სცადოს დახმარების მიღება და არ დაიცვას თავი ფიზიკურად.[81] მეორე მხრივ, ქალებს მოეთხოვებათ თავდასხმის მოგერიების „გონივრული“ საშუალების გამოყენება, რაც პრაქტიკაში იმას ნიშნავს, რომ თუ თავდამსხმელი შეუიარაღებელია, არათანაზომიერი იქნება ქალის მიერ იარაღის გამოყენება;[82]

iv. ქალის რეპუტაციაზე, სანდოობასა და ქცევაზე ყურადღების გამახვილება, კერძოდ:

- გენდერული პერსპექტივის არარსებობის გამო იმის დაშვება, რომ თუ ქალი შეცვლის ჩვენებას, ის არ არის სანდო ან ცდილობს თავი აარიდოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას;
- ინციდენტების შეტყობინების დაგვიანებასთან ან ძალადობის შეუტყობინებლობასთან დაკავშირებით გამოტანილი არასწორი დასკვნები;

76 ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, „ქალები, რომლებიც კლავენ“ (n6), დანართი 2, გვ 127
77 იხილე შენიშვნა 2.
78 გრიაზნოვა (n 20) გვ. 5.
79 იქვე, გვ. 8; გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) „სახელმძღვანელო ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის ეფექტური სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ“ (n 61), გვ. 36.
80 იქვე, გვ. 37; გრიაზნოვა (n 20), გვ. 8.
81 მაგ. გრიაზნოვა (n 20), გვ. 13-დან.
82 იქვე, გვ. 14-დან.

- ქალის რეპუტაციაზე, სექსუალურ ან ურთიერთობების ისტორიასა და ქცევაზე ყურადღების გამახვილება.[83]

შესაბამისად, აუცილებელი მოგერიების მოთხოვნების დაკმაყოფილების განხილვისას გენდერული სტერეოტიპები და გენდერული პერსპექტივის გამოუყენებლობა იწვევს ოჯახში ძალადობის სიტუაციაში მყოფი ქალების ქცევის არაზუსტ და არარეალისტურ შეფასებას, რაც, თავის მხრივ, იწვევს მართლმსაჯულების პრინციპებიდან გადახვევას. უფრო მეტიც, სტერეოტიპული აღქმების გამოყენების დამაზიანებელი შედეგები კიდევ უფრო შეიძლება დამძიმდეს დისკრიმინაციის ინტერსექციური ფორმებით, ასაკის, ეროვნების, რელიგიის, ენის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ან გენდერული იდენტობის ნიშნით.[84] პრაქტიკოსი იურისტები ინფორმირებულები უნდა იყვნენ ამ ბარიერების შესახებ და უნდა შეიმუშაონ მათი თავიდან არიდების ან გადალახვის სტრატეგიები.

83 მაგალითად, ქალის მიერ ნარკოტიკების მოხმარება შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც მტკიცებულება, მისი დისკრედიტაციის მიზნით, იმის მიუხედავად, რომ დადასტურებული ფაქტია, რომ უკანონო და კანონიერი ნივთიერებების მოხმარება ძალადობისა და ტრავმისთვის თავის გართმევის გავრცელებული მექანიზმია: მაგ. იხილეთ ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, ანგარიში „ქალები, რომლებიც კლავენ“ (n 6), გვ. 81; პენიტენციური სისტემის რეფორმების ტრასტი (n 6), გვ. 8.
84 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 35 (2017), პარაგრაფი 12.

2. შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები და პრინციპები

წინამდებარე ნაწილი მოიცავს რეგიონულ და საერთაშორისო სტანდარტებსა და პრინციპებს, რომლებიც დაეხმარება ადვოკატებს სამართალწარმოებაში ამ ტიპის საქმეზე ზემოთ განხილული დაბრკოლებების გადასალახად. იგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

i. სტერეოტიპების გამოვლენისა და აღმოფხვრის ვალდებულება;

ii. გენდერული პერსპექტივის გამოყენების აუცილებლობა ოჯახში ძალადობასა და აუცილებელ მოგერიებაზე რეაგირებასთან დაკავშირებით ოჯახში ძალადობის კონტექსტში;

iii. აუცილებელი მოგერიების ელემენტების ინტერპრეტაცია ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კონტექსტში;

iv. მტკიცებულებების მოპოვებისა და შეფასების სტანდარტები აუცილებელი მოგერიების საქმეებზე ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კონტექსტში;

v. ეფექტური და გენდერულად მგრძნობიარე იურიდიული დახმარების მნიშვნელობა აუცილებელი მოგერიების საქმეებზე ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კონტექსტში;

vi. ოჯახში ძალადობის ისტორია, როგორც სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება აუცილებელი მოგერიების საქმეებზე ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კონტექსტში.

საერთაშორისო სამართალი ნაკლებ მითითებას იძლევა უშუალოდ აუცილებელი მოგერიების საკითხთან დაკავშირებით ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კონტექსტში. ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით სტანდარტები ყველაზე სრულად ჩამოყალიბებულია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღკვეთის შესახებ ინტერ-ამერიკული კონვენციის (ბელემ დო პარას კონვენცია) იმპლემენტაციის შემფასებელ ექსპერტთა კომიტეტის #1 ზოგად რეკომენდაციაში (2018).[85] ზოგადი რეკომენდაცია # 1 პირდაპირ შეეხება აუცილებელ მოგერიებას და გენდერული ნიშნით ძალადობას ბელემ დო პარას კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად (ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ) (იხ. ქვემოთ).

უფრო ადრე, 2010 წელს, დოკუმენტში „განახლებული მოდელური სტრატეგიები და პრაქტიკული ღონისძიებები ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის შესახებ, სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების სფეროში“, გაეროს გენერალური ასამბლეა, სხვა საკითხებთან ერთად, მოუწოდებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ, რომ დაცვის წესები და პრინციპები არ ახდენდეს დისკრიმინაციას ქალთა მიმართ[86] და რომ აუცილებელი მოგერიების მტკიცება ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხრიდან, განსაკუთრებით „ძალადობის მსხვერპლი ქალის სინდრომის“ შემთხვევები, გათვალისწინებული იქნას გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნისა და განაჩენის გამოტანის დროს.[87] გენერალური ასამბლეა აღიარებს, რომ “ძალადობის მსხვერპლი ქალის სინდრომი აქვთ ქალებს, რომლებსაც ინტიმური პარტნიორის მხრიდან განმეორებითი ძალადობის აქტების გამო, შესაძლოა, ჰქონდეთ დეპრესია და არ შეეძლოთ დამოუკიდებლად მოქმედება, რაც ძალადობისგან თავის დაღწევის შესაძლებლობას მისცემდათ, მათ შორის, უარს ამბობენ ბრალდების წაყენებაზე ან დახმარების შემოთავაზების მიღებაზე”.[88]

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა (CEDAW) აუცილებელი მოგერიების საკითხი განიხილა 2015 წელს საქმეზე X. v Timor-Leste (დამატებით იხილეთ ქვემოთ).[89] ქალბატონმა X-მა სასიკვდილოდ დაჭრა პარტნიორი მაშინ, როდესაც ცდილობდა თავის დაცვას მისი ძალადობრივი თავდასხმისგან. წინამდებარე სახელმძღვანელოს მომზადების დროისათვის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (ECtHR) ჯერ არ განუხილავს ეს საკითხი.[90]

85 MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტი (n 6).
86 გაეროს გენერალური ასამბლეა, Res 65/228 (2010) GAOR 65-ე სესია, დანართი, პარაგრაფი 15(d).
87 იქვე, პარაგრაფი 15(k).
88 იქვე.
89 CEDAW, საქმე X. v Timor-Leste (CEDAW/C/69/D/88/2015).
90 საქმე „ტუნიკოვა რუსეთის წინააღმდეგ“ (Tunikova v Russia) განაცხადი № 55974/16 (ECtHR, კომუნიკაცია 28/06/2019). ერთ-ერთი მოსარჩელე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, დამნაშავედ იქნა ცნობილი მძიმე სხეულის დაზიანების მიყენებაში იმის გამო, რომ, ქვეყნის სასამართლოს თანახმად, მის მიერ აუცილებელი მოგერიებისას გამოყენებული ძალა არ იყო თანაზომიერი. თუმცა, სასამართლოს მხარეებისთვის არ დაუსვამს რაიმე კითხვა აუცილებელ მოგერიებასთან დაკავშირებით.

თუმცა, არსებობს რეგიონულ და საერთაშორისო ინსტრუმენტებში მოცემული ზოგადი პრინციპები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია აუცილებელი მოგერიების საქმეებზე სამართალწარმოების დროს ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევებში. ამ პრინციპებს განვიხილავთ სახელმძღვანელოს მომდევნო ნაწილებში.

2.1. სტერეოტიპების გამოვლენისა და აღმოფხვრის ვალდებულება

სტერეოტიპები გავლენას ახდენს სამართლებრივი პროცესის ყველა საფეხურზე: გამოძიების, სასამართლო განხილვისა და განაჩენის გამოტანის ეტაპებზე. ძირითადად სტერეოტიპებით აიხსნება კანონისა და პოლიტიკის გამოყენება სამართლის ძიებისას ქალებისთვის ბარიერის შესაქმნელად სამართლებრივ სისტემაში.

<u>გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW)</u>

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის მე-5 მუხლი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, მიიღონ გენდერულად მგრძნობიარე მიდგომები და ებრძოლონ მითებსა და სტერეოტიპებს. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW) აღიარებს, რომ გენდერული სტერეოტიპები აბრკოლებს ქალების, განსაკუთრებით ძალადობას გადარჩენილი ქალების, წვდომას მართლმსაჯულებაზე[91] და გენდერულ სტერეოტიპებს მიიჩნევს უპირველეს დაბრკოლებად ქალების მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლებით სარგებლობისთვის.[92] კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სტერეოტიპები მოქმედებს ქალის დამაჯერებლობის შეფასებაზე და ზემოქმედებას ახდენს გამოძიებაზე, სასამართლო განხილვაზე და საბოლოო განაჩენზე, რითაც განამტკიცებს დაუსჯელობის კულტურას.[93] მან არაერთხელ აღნიშნა, რომ გენდერულ სტერეოტიპებთან ბრძოლა ერთ-ერთია სახელმწიფოს სამი ძირითადი ვალდებულებიდან ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად[94] და მოუწოდა სახელმწიფოებს, გამოააშკარაონ და შეცვალონ გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს მათი უფლებების განხორციელებაში და ამ უფლებების დაცვის მოთხოვნაში.[95]

მნიშვნელოვანია, რომ #33 ზოგადი რეკომენდაცია ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ ავალდებულებს სახელმწიფოებს, დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყონ ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა სისხლის სამართლის სფეროში, მიუხედავად იმისა, ქალს აქვს მსხვერპლის თუ სამართალდამრღვევის სტატუსი დანაშაულებრივ ქმედებებში.[96] ამავე დროს, იგი ყურადღებას ამახვილებს, შემდეგზე:

> „სტერეოტიპულ აღქმებს და გენდერულ მიკერძოებას მართლმსაჯულების სისტემაში შორსმიმავალი შედეგები აქვს ქალების მიერ საკუთარი უფლებებით სრულყოფილად სარგებლობისთვის. ეს აბრკოლებს ქალების წვდომას მართლმსაჯულებაზე კანონის ყველა სფეროში და შეიძლება განსაკუთრებით უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ძალადობის მსხვერპლ ქალებზე და გადარჩენილებზე. სტერეოტიპები ამახინჯებს აღქმებს და შედეგად მოაქვს გადაწყვეტილებები, რომლებსაც საფუძვლად უდევს წინასწარ შექმნილი შეხედულებები და მითები და არა შესაბამისი ფაქტები. ხშირად მოსამართლეებს აქვთ ხისტი სტანდარტები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია ქალებისთვის შესაფერისი ქცევა, და პასუხისმგებლობას განსაზღვრავენ იმ ქალებისთვის, ვინც არ შეესაბამება ამ სტერეოტიპებს. სტერეოტიპული აღქმები ასევე უარყოფითად ზემოქმედებს ქალების

91 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 33 (2015), პარაგრაფი 26.
92 იქვე, პარაგრაფი 3.
93 იქვე, პარაგრაფები 26-28.
94 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 19 (1992), პარაგრაფი 11; CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 35 (2017), პარაგრაფი 19.
95 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 33 (2015), პარაგრაფი 7.
96 იქვე, პარაგრაფი 47.

შეხედულებების, არგუმენტების და ჩვენებების სანდოობის აღქმაზე, როდესაც ისინი წარმოადგენენ მხარეს ან მოწმეს საქმეებში. სტერეოტიპულ აღქმას შეუძლია გამოიწვიოს მოსამართლის მიერ კანონის არასწორი განმარტება ან გამოყენება. ამას შორსმიმავალი შედეგები აქვს, მაგალითად, სისხლის სამართალში, როდესაც დამნაშავეებს არ აკისრებენ სამართლებრივ პასუხისმგებლობას ქალთა უფლებების დარღვევისათვის და ამით ხელს უწყობენ დაუსჯელობის კულტურის განმტკიცებას. კანონის ყველა სფეროში სტერეოტიპული აღქმები ზიანს აყენებს მართლმსაჯულების სისტემის მიუკერძოებლობას და სამართლიანობას, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება შედეგად მოიტანოს სასამართლო შეცდომები, მათ შორის მომჩივანთა რევიქტიმიზაცია".[97]

ამასთან, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW) მკაფიოდ აცხადებს, რომ არ უნდა არსებობდეს „იდეალური მსხვერპლის" ცნება.[98] მოსამართლეებმა არ უნდა შექმნან „მოუქნელი სტანდარტები იმაზე, თუ როგორები უნდა იყვნენ ან როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ქალები და გოგონები", როდესაც ისინი ხვდებიან ძალადობის სიტუაციაში.[99] მოსამართლეები და პროკურორები ასევე არ უნდა მიუდგნენ ხისტად იმას , თუ როგორია ქალისათვის შესაფერისი ქცევა და არ უნდა შეუფარდონ პასუხისმგებლობა მათ, ვინც არ შეესაბამება ამ სტერეოტიპებს.[100] ეს განსაკუთრებით რელევანტურია იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალდამცავი ორგანოები განიხილავენ, დაკმაყოფილდა თუ არა აუცილებელი მოგერიების მოთხოვნები. საქმეში X. v Timor-Leste, რაც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტის პირველი საქმეა აუცილებელ მოგერიებასთან დაკავშირებით, CEDAW კომიტეტმა განიხილა, უზრუნველყო თუ არა სახელმწიფომ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობა „მიკერძოების, დისკრიმინაციისა ან გენდერული სტერეოტიპული აღქმების გარეშე".[101]

<u>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო</u>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასევე მონაწილეობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ სხვადასხვა სტერეოტიპის აღმოფხვრაში.[102] საქმეში „კალუზა უნგრეთის წინააღმდეგ" (Kalucza v Hungary), სასამართლომ უარყო „იდეალური მსხვერპლის" სტერეოტიპი და მოლოდინი, რომ ქალი უნდა იყოს სუსტი, პასიური და უმწეო.[103] სასამართლომ კრიტიკულად შეაფასა ქვეყნის სასამართლოების უარი განმცხადებლის მოთხოვნაზე, შემაკავებელი ორდერი გამოეცათ მისი მოძალადე ქმრის მიმართ, რადგან განმცხადებელი ასევე ძალადობრივად მოიქცა მოძალადესთან მიმართებით. ECtHRმა აღნიშნა, რომ „თუ შეუძლებელი იქნება შემაკავებელი ორდერის გამოცემა ორმხრივი ძალადობის შემთხვევებში, ვერ შესრულდება მსხვერპლთა ეფექტიანი დაცვის მიზანი. ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი, გამოირიცხოს შესაძლებლობა, რომ მსხვერპლი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების კანონიერ ფარგლებში" (დამატებულია აქცენტი).[104]

რამდენიმე შემთხვევაში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ გამოძიება უნდა იყოს საფუძვლიანი, ღია, მიუკერძოებელი და განიხილოს გამოძიების ყველა შესაძლო მიმართულება საქმესთან დაკავშირებით,[105] „თეორიულად შეეძლოს ფაქტების დადგენა საქმესთან დაკავშირებით და, თუ სავარაუდო ქმედებები სიმართლე აღმოჩნდება, გამო

პასუხისმგებელი პირები“.[106] ანალოგიურად, სამართლიანი სასამართლო და მართლმსაჯულების სათანადო განხორციელება მოითხოვს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება: ადეკვატურად აყალიბებდეს იმ საფუძვლებს, რომლებსაც ეყრდნობა;[107] არ უგულებელყოფდეს კონკრეტულ, რელევანტურ და მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც წამოჭრა განმცხადებელმა;[108] და მოიცავდეს „კონკრეტულ და პირდაპირ პასუხს იმ არგუმენტებზე, რომლებიც გადამწყვეტია პროცესის შედეგების თვალსაზრისით“.[109] შიდა სასამართლოს გადაწყვეტილებების დასასაბუთებლადმოყვანილი მიზეზები არ შეიძლება, იყოს „ავტომატურად მიღებულიან სტერეოტიპული“.[110] სხვა შემთხვევაში, გადაწყვეტილება ვერ დააკმაყოფილებს 6(1) მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

საქმეზე „დ. ჯ. ხორვატიის წინააღმდეგ“ (D.J. v Croatia),[111] სასამართლო დაუპირისპირდა სტერეოტიპებს ქალის ქცევასთან დაკავშირებით, გაუპატიურების ბრალდებასთან მიმართებით. სასამართლომ დაადგინა მე-3 და მე-8 მუხლების დარღვევა ეფექტიანი გამოძიების არარსებობასთან დაკავშირებით, როდესაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა გაუპატიურების ბრალდება იმიტომ, რომ გაუპატიურების მსხვერპლი არ აკმაყოფილებდა გაუპატიურების „იდეალური“ მსხვერპლის აღწერას. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ მოსამართლის უარყოფითმა დამოკიდებულებამ განმცხადებლის შესახებ წინასწარ განსაზღვრა მისი გადაწყვეტილება ამ საქმესთან დაკავშირებით და წამოჭრა „კითხვა მოსამართლის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის აღქმის შესახებ მის მიერ შესწავლის ჩატარებასთან დაკავშირებით“”.[112]

საქმეზე „ ჯ. ლ. იტალიის წინააღმდეგ“ (J.L. v Italy),[113] სასამართლომ დაადგინა, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაცია, განაჩენის სამოტივაციო ნაწილში არსებული შენიშვნების გამო, რომლებიც აჩენს დანაშაულის გრძნობას, მორალს კითხულობს და სექსისტურ სტერეოტიპებს გამოხატავს, დარღვევას წარმოადგენს.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ წინამდებარე სახელმძღვანელოს სასარგებლო რესურსების ნაწილში სტერეოტიპების აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო სახელმძღვანელო მითითებებისა და ანგარიშებში.

106 საქმე „მიხეიევი რუსეთის წინააღმდეგ“ (Mikheyev v Russia) განაცხადი № 77617/01 (ECtHR, 2006 წლის 26 იანვარი), პარაგრაფი 107.
107 საქმე „ბოლდეა რუმინეთის წინააღმდეგ“ (Boldea v Romania) განაცხადი № 19997/02 (ECtHR, 2017 წლის 15 თებერვალი).
108 საქმე „ნეჩიპორუკი და იონკალო უკრაინის წინააღმდეგ“ (Nechiporuk and Yonkalo v Ukraine) განაცხადი № 42310/04 (ECtHR, 2011 წლის 21 აპრილი), პარაგრაფი 280; საქმე „როსტომაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (Rostomashvili v Georgia) განაცხადი № 13185/07 (ECtHR, 2018 წლის 08 ნოემბერი), პარაგრაფი 59; საქმე „ჟანგი უკრაინის წინააღმდეგ“ (Zhang v Ukraine) განაცხადი № 6970/15 (ECtHR, 2018 წლის 13 ნოემბერი), პარაგრაფი 73.
109 საქმე „მორეირა ფერეირა პორტუგალიის წინააღმდეგ“ (Moreira Ferreira v Portugal) No 2 განაცხადი № 19867/12 (ECtHR, 2017 წლის 11 ივლისი), პარაგრაფი 84.
110 საქმე „პარადიზო და კამპანელი იტალიის წინააღმდეგ“ (Paradiso and Campanelli v Italy) განაცხადი № 25358/12 (ECtHR, 2017 წლის 24 იანვარი), პარაგრაფი 210.
111 საქმე „დ. ჯ. ხორვატიის წინააღმდეგ“ (D.J. v Croatia) განაცხადი № 42418/10 (ECtHR, 2012 წლის 24 ივლისი).
112 იქვე, პარაგრაფი 102.
113 საქმე „ჯ. ლ. იტალიის წინააღმდეგ“ (J.L. v. Italy) განაცხადი № 5671/16 (ECtHR, 2021 წლის 27 მარტი).

2.2. გენდერული პერსპექტივის გამოყენების აუცილებლობა ოჯახში ძალადობაზე რეაგირებასა და აუცილებელ მოგერიებასთან მიმართებით ოჯახში ძალადობის კონტექსტში

2.2.1. გენდერული პერსპექტივის პრინციპები[114]

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობა გლობალურ მოვლენად არის აღიარებული, მასზე რეაგირების ღონისძიებებს ჯერ ისევ ხშირად აფერხებს გენდერული პერსპექტივის არარსებობა, არასწორი წარმოდგენები და მითები. ოჯახში ძალადობა განსხვავდება სხვა გარემოებებში ჩადენილი ძალადობისგან იმიტომ, რომ ოჯახში ძალადობა მოიცავს კონტროლის, დაშინებისა და დამცირების გავრცელებულ ქცევებს და აღნიშნული მიზნით ჩადენილ ქმედებებს, ხშირად ხასიათდება გამწვავების ტრაექტორიით და გააჩნია უკვე ცნობილი გამომწვევი ფაქტორები. სწორედ ამიტომ, ოჯახში ძალადობა საჭიროებს დინამიკის კონტექსტზე დაფუძნებულ ანალიზსა და აღიარებას, რომ ძალადობა ქცევის მიზანმიმართული მოდელებს მოიცავს და არაა იზოლირებული ქმედებები.

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში აღნიშნული გენდერული პერსპექტივა მოიცავს იმის აღიარებას, რომ:

- ოჯახში ძალადობა არ არის პირადი საკითხი. კარგად არის ცნობილი, რომ ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევაა, ყოველთვის წარმოადგენს სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას და შეიძლება წარმოადგენდეს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ წამებას, რასაც ადასტურებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW), ასევე სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.[115] ოჯახში ძალადობის ყველა ფორმა სერიოზულ შედეგებს იწვევს მსხვერპლის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის;[116]
- ოჯახში ძალადობის შემთხვევა აღქმული უნდა იყოს, როგორც განგრძობადი ზიანი, ხოლო ძალადობა, როგორც ასეთი, მიჩნეული უნდა იქნას ურთიერთდაკავშირებულ მოვლენათა

114 დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სამართალწარმოების შესახებ: ოჯახში ძალადობა და სექსუალური ძალადობა (n 8).
115 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 35 (2017), პარაგრაფები 1-2, 16; გაეროს გენერალური ასამბლეა, „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის რელევანტურობა ოჯახში ძალადობის კონტექსტში, წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში (2019) გაეროს დოკ. A/74/148, პარ. 10; საქმე „Bevacqua and S. v Bulgaria“ განაცხადი № 71127/01 (ECtHR, 12 June 2008), პარაგრაფი 83; საქმე „ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ“ (Opuz v Turkey) განაცხადი № 33401/02 (ECtHR, 2009 წლის 09 ივნისი), პარაგრაფი 144. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სამართალწარმოების შესახებ: ოჯახში ძალადობა და სექსუალური ძალადობა (n 8).
116 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, „ძალადობა ქალთა მიმართ: ეპიდემიური მასშტაბის გლობალური ჯანმრთელობის პრობლემა“ (2013 წლის 20 ივნისი) <https://www.who.int/news/item/20-06-2013-violence-against-women-a-global-health-problem-of-epidemic-proportions-> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.

ერთობლიობად;[117]

- ოჯახში ძალადობის მსხვერპლები განსაკუთრებით დაუცველები არიან და ისინი ხშირად თავს იკავებენ ძალადობის შემთხვევების შეტყობინებისგან, რაც სახელმწიფოს მხრიდან უფრო მკაცრ რეაგირებას მოითხოვს;[118]
- ოჯახში ძალადობას მრავალი ფორმა აქვს, მათ შორის ფსიქოლოგიურიც,[119] რაც თავისთავად სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ გარდაიქმნება ფიზიკური ძალადობის კონკრეტულ ქმედებებად;[120]
- ოჯახში ძალადობის ხანგრძლივი მიმდინარეობის შემთხვევაში თითქმის ეჭვგარეშეა გარდაუვალი საფრთხის არსებობა მსხვერპლისთვის;[121]
- ოჯახში ძალადობა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, არის ციკლური, დროში განმეორებადი და გააჩნია ესკალაციის ტენდენცია.[122] დადგენილია, რომ ძალადობის ციკლი სამი ფაზისგან შედგება[123]

    i. დაძაბულობის ფაზა: მოძალადე ხდება გაღიზიანებული, მბრძანებლური, მომთხოვნი და უფრო მეტად მიდრეკილი, რომ უარყოფითი რეაგირება მოახდინოს ნებისმიერ ტრივიალურ საკითხზე. ბევრი ქალი სწავლობს ამ ფაზის ამოცნობას და ცდილობს მის კონტროლს „სიმშვიდის შენარჩუნებით“. ამ ეტაპზე იშვიათად ატყობინებენ პოლიციას სხვადასხვა მიზეზების გამო. შესაბამისად, მოძალადეს ხელი არ ეშლება შემდეგ ფაზაზე გადასვლაში;

    ii. ძალადობის ფაზა: ძალადობის აფეთქება მოძალადის მხრიდან. ქალები, რომლებსაც წარსულში გამოუცდიათ ძალადობა, ძალადობის საფრთხემაც კი შეიძლება უუნარო გახადოს. ჩვეულებრივ, ამ ფაზას თან ახლავს მსხვერპლის დადანაშაულება, რომ ძალადობა ქალის ბრალია. მსხვერპლი მადლობელი უნდა იყოს, რომ ძალადობა დასრულდა და უნდა ჩათვალოს, რომ გაუმართლა, რომ უარესი არ მოხდა, არ აქვს მნიშვნელობა რამდენად მძიმე ტრავმები მიიღო;

    iii. თაფლობის თვის ფაზა: მოძალადე ავლენს მოსიყვარულე ქცევას და პირობას იძლევა, რომ ძალადობა აღარ განმეორდება. ცრუ იმედის გამო ქალი უკან გამოიხმობს საჩივარს.

უფრო ზოგადად, ბოლო პერიოდში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ვოლოდინა რუსეთის წინააღმდეგ“ (Volodina v Russia) აღიარა, რომ „არსებითი გენდერული თანასწორობა მიიღწევა მხოლოდ კონვენციის დებულებების გენდერულად მგრძნობიარე განმარტებითა და გამოყენებით, რაც ითვალისწინებს ქალებსა და მამაკაცებს შორის ფაქტობრივ უთანასწორობებს და იმას, თუ რა გავლენას ახდენს ეს ქალების ცხოვრებაზე“.[124] ამის მსგავსად, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა (CEDAW) რეკომენდაცია მისცა სახელმწიფოებს, რომ მართლმსაჯულების სისტემის ყველა ასპექტში ინტეგრირებული იყოს

117 საქმე „ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ“ (Opuz v Turkey) განაცხადი № 33401/02 (ECtHR, 2009 წლის 09 ივნისი), პარაგრაფი 111.
118 საქმე „ტ. მ. და ს. მ. მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ“ (T.M and C.M v the Republic of Moldova) განაცხადი № 26608/11 (ECtHR, 2014 წლის 28 იანვარი), პარაგრაფები 46, 60.
119 სტამბულის კონვენცია (n 2), მუხლი 3(ბ), 33.
120 საქმე „ჰაიდუოვა სლოვაკეთის წინააღმდეგ“ (Hajduová v Slovakia) განაცხადი № 2660/03 (ECtHR, 2010 წლის 30 ნოემბერი), პარაგრაფი 49; საქმე „ვალიულიენე ლიეტუვის წინააღმდეგ“ (Valiulienė v Lithuania) განაცხადი № 33234/07 (ECtHR, 2013 წლის 26 მარტი), პარაგრაფი 69; საქმე „პოლშინა რუსეთის წინააღმდეგ“ (Polshina v Russia) განაცხადი № 65557/14 (ECtHR, 2020 წლის 16 ივნისი), პარაგრაფი 28; საქმე „ვოლოდინა რუსეთის წინააღმდეგ“ (Volodina v Russia) (no. 2) განაცხადი № 40419/19 (ECtHR, 2021 წლის 14 სექტემბერი).
121 საქმე „თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Tkhelidze v Georgia) განაცხადი № 33056/17 (ECtHR, 2021 წლის 8 ივლისი), პარაგრაფი 53.
122 GREVIO, მესამე მხარის ინტერვენცია - საქმე კურტი ავსტრიის წინააღმდეგ (2020) <https://rm.coe.int/grevio-inf-2020-3-third-party- intervention-kurt-v-austria/pdfa/16809987e9> წვდომა 2021 წლის 19 იანვარს, პარაგრაფი 9.
123 „ძალადობის ციკლი“ შემუშავებულ იქნა ლენორ უოკერი მიერ 1979 წელს, მას შემდეგ რაც იგი ესაუბრა ოჯახში ძალადობის 1,500 მსხვერპლს, იხილეთ ლ. ე. უოკერი, „სისტემატური ძალადობის მსხვერპლი ქალი“ (1979); გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) სახელმძღვანელო ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის ეფექტური სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ (n 61), გვ. 37.
124 საქმე „ვოლოდინა რუსეთის წინააღმდეგ“ (Volodina v Russia) განაცხადი № 41261/17 (ECtHR, 2019 წლის 09 ივლისი), პარაგრაფი 111.

გენდერული ხედვა.[125]

2.2.2. ქალი, რომელიც ძალადობის საპასუხოდ სჩადის მკვლელობას - როგორც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი

ქალი, რომელიც ოჯახში ძალადობაზე ძალადობით რეაგირებს, მაინც ოჯახში ძალადობის მსხვერპლად რჩება. შესაბამისად, გამოიყენება საერთაშორისო ინსტრუმენტებსა და იურისპრუდენციაში, მათ შორის კონვენციაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ და სტამბულის კონვენციაში დაცული სტანდარტები.[126] საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, სახელმწიფოებს აქვთ სათანადო გულისხმიერების ვალდებულება, რომ გაატარონ ზომები ქალებისა და გოგონების ძალადობისგან დასაცავად, აწარმოონ ძალადობის აქტების სისხლის სამართლებრივი დევნა და თავიდან აიცილონ ძალადობის შემდგომი აქტები.[127] სახელმწიფოებს ასევე ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ ქალების სრული წვდომა მართლმსაჯულებაზე, ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მხარდაჭერა და შესაბამისი სერვისები. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა სახელმწიფოს მხრიდან საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას ნიშნავს:[128]

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ოჯახში ძალადობის პრობლემის სიმძიმისა და მასშტაბის არასათანადოდ შეფასება სცდება ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის გადაწყვეტის დაგვიანებას ან ვერ გადაწყვეტას და უტოლდება ასეთ ძალადობრივ აქტებთან შერიგებას, განმეორებას, და ასახავს დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას მსხვერპლთა მიმართ მათი სქესის გამო;[129]

- ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის 35-ე ზოგადი რეკომენდაციის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოს უუნარობა, მიიღოს ყველა საჭირო ზომა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ქმედებათა პრევენციისათვის იმ შემთხვევებში, როდესაც ხელისუფლების ორგანოებმა იციან, ან უნდა იცოდნენ, ამ სახის ძალადობის რისკის არსებობის შესახებ, ან უუნარობა, გამოიძიონ, აწარმოონ სამართლებრივი დევნა და დასაჯონ დამნაშავეები და უზრუნველყონ ზიანის ანაზღაურება ამგვარი ქმედებების მსხვერპლთათვის, იძლევა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ჩადენის ნაგულისხმევ ნებართვას ან ხელს უწყობს მას. ამგვარი უუნარობა ან უმოქმედობა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას“;[130]

- ინტერ-ამერიკულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „როდესაც ქალის მიმართ ადგილი აქვს ძალადობას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საგამოძიებო ორგანოებმა ჩაატარონ მტკიცე და ეფექტიანი გამოძიება, მხედველობაში მიიღონ საზოგადოების მოვალეობა, უარყოს ქალთა მიმართ ძალადობა და სახელმწიფოს მოვალეობა, აღკვეთონ აღნიშნული და მოიპოვონ

125 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 33 (2015), პარაგრაფი 29(ა).
126 დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სამართალწარმოების შესახებ: ოჯახში ძალადობა და სექსუალური ძალადობა (n 8).
127 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 35 (2017).
128 მაგ. საქართველოში, სამოქალაქო სასამართლოებს დადგენილი აქვთ სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობა (შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა) ქალების ოჯახში ძალადობისგან დაცვის უუნარობის გამო და მორალური ზიანის ანაზღაურების გაცემა; იხ. საქმე „ა და ბ საქართველოს წინააღმდეგ“ (A and B v Georgia) განაცხადი № 73975/16 (ECtHR, გადაწყვეტილების მიღების პროცესში).
129 საქმე „ბასლანი რუმინეთის წინააღმდეგ“ (Balsan v Romania) განაცხადი № 49645/09 (ECtHR, 2017 წლის 23 მაისი), პარაგრაფები 85-88; საქმე „ვოლოდინა რუსეთის წინააღმდეგ“ (Volodina v Russia) განაცხადი № 41261/17 (ECtHR, 2019 წლის 09 ივლისი), პარაგრაფი 132; საქმე „ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ“ (Opuz v Turkey)განაცხადი № 33401/02 (ECtHR, 2009 წლის 09 ივნისი), პარაგრაფი 200; საქმე „ერემია მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ“ (Eremia v the Republic of Moldova) განაცხადი № 3564/11 (ECtHR, 2013 წლის 28 მაისი), პარაგრაფი 89.
130 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 35 (2017), პარაგრაფი 24(ბ).

მსხვერპლთა ნდობა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები შეძლებენ მათ დაცვას".[131]

გაერთიანებული ერების დეკლარაცია დანაშაულისა და ძალაუფლების გადამეტების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ (1985)[132] ადგენს შემდეგ ძირითად უფლებებს, რომლებიც უნდა უზრუნველყონ სახელმწიფოებმა დანაშაულისა და ძალაუფლების გადამეტების ყველა მსხვერპლისთვის:

- მსხვერპლთან მოპყრობა უნდა მოხდეს თანაგრძნობით და მისი ღირსების პატივისცემით; [133]
- მსხვერპლს უფლება აქვს, ჰქონდეს წვდომა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე და სწრაფად მიიღოს ზიანის ანაზღაურება;[134]
- მსხვერპლი ინფორმირებული უნდა იყოს საკუთარი უფლებებისა და როლის, საქმის ფარგლების, ვადებისა და მიმდინარეობის და საქმესთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შესახებ;[135]
- მსხვერპლს უფლება უნდა ჰქონდეს, გამოთქვას აზრი, გამოხატოს პრეტენზია და ეს აზრები და პრეტენზიები სათანადოდ უნდა იქნას წარდგენილი და გათვალისწინებული სისხლის სამართლის საქმის შესაბამის ეტაპზე;[136]
- მსხვერპლმა უნდა მიიღოს სათანადო დახმარება სამართლებრივი პროცესის განმავლობაში;[137]
- მიღებული უნდა იქნას ზომები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს მსხვერპლთა დისკომფორტი, დაცულ იქნას მათი პირადი სივრცე, საჭიროების შემთხვევაში და უზრუნველყოფილი იქნას მათი და მათი ოჯახის უსაფრთხოება დაშინებისა და შურისძიებისგან;[138]
- თავიდან უნდა იქნას აცილებული ზედმეტი შეფერხებები საქმის გადაწყვეტის დროს;[139]
- მსხვერპლს უფლება აქვს, მიიღოს პირვანდელი მდგომარეობის სამართლიანი აღდგენა და კომპენსაცია;[140]
- მსხვერპლმა უნდა მიიღოს საჭირო მატერიალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარება სახელმწიფო, მოხალისეობრივი, სათემო და ადგილობრივი საშუალებებიდან.[141]

აღსანიშნავია, რომ საქმეზე „X. v Timor-Leste",[142] რაც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) პირველ და ერთადერთ საქმეს წარმოადგენს აუცილებელი მოგერიების საკითხთან დაკავშირებით, კომიტეტმა პირველ რიგში განიხილა, ასრულებდა თუ არა სახელმწიფო მხარე ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებას, დაეცვა ქალბატონი X ოჯახში ძალადობისგან მანამ, სანამ სიკვდილით დასრულებული ინცინდენტი მოხდებოდა.[143]

შესაბამისად, ქალს, რომელიც ძალადობრივად რეაგირებს ოჯახში ძალადობაზე, უფლება აქვს, გამოძიებული იყოს მის მიმართ ჩადენილი ოჯახში ძალადობის ინციდენტები ზემოთ განხილილული ამჟამინდელი სტანდარტების შესაბამისად. ამ შემთხვევებში, ოჯახში ძალადობის

131 ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო, საქმე „ფერნანდეზ ორტეგა და სხვ. მექსიკის წინააღმდეგ" (Fernandez Ortega et al. v Mexico) (2011) სერია C No 224, პარაგრაფი 193.
132 გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა, დეკლარაცია სისხლის სამართლის დანაშაულისა და ძალაუფლების გადამეტების მსხვერპლთა მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ (1985) UN Doc 40/34
133 იქვე, პარაგრაფი 4.
134 იქვე.
135 იქვე, პარაგრაფები 5, 6(ა).
136 იქვე, პარაგრაფი 6(ბ).
137 იქვე, პარაგრაფი 6(c).
138 იქვე, პარაგრაფი 6(d).
139 იქვე, პარაგრაფი 6(e).
140 იქვე, პარაგრაფი 8.
141 იქვე, პარაგრაფი 14.
142 CEDAW, საქმე „X. v Timor-Leste" (CEDAW/C/69/D/88/2015).
143 იქვე, პარაგრაფები 6.3-6.4.

ისტორიას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქალის მიერ დანაშაულის ჩადენის საკითხთან დაკავშირებით და საჭიროებს გამოძიებას.

2.2.3. ქალი, რომელიც ძალადობის საპასუხოდ სჩადის მკვლელობას - ბრალდებულის როლში

ზოგადად, სამართალდამრღვევი ქალი განსხვავდება სამართალდამრღვევი მამაკაცისგან:[144]

> „გარემოებები, რომლებშიც ქალები სისხლის სამართლის დანაშაულს ჩადიან, განსხვავდება მამაკაცებისგან. ქალების მნიშვნელოვანი ნაწილის ციხეში ყოფნა დისკრიმინაციისა და დეპრივაციის მრავალშრიანი გარემოებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შედეგია, რაც ხშირად მომდინარეობს ქმრების ან პარტნიორების, ოჯახის ან საზოგადოების მხრიდან“.[145]

ქალის მიერ დანაშაულის ჩადენა ხშირად მოტივირებულია მისი ოჯახში ძალადობის გამოცდილებით.[146] კერძოდ, „დანაშაულის ჩადენა, შესაძლოა, იყოს ძალადობის გვერდითი პროდუქტი, რაც განპირობებულია მსხვერპლის მიერ თავის გადარჩენის მცდელობით“.[147] ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ციკლური, განმეორებადი და მზარდი ბუნებით, ასეთი ტიპის ძალადობის ფსიქოლოგიურ ზემოქმედებასთან ერთად, აიხსნება, თუ რატომ შეიძლება, რაღაც ეტაპზე ქალიც საპასუხო ძალადობაზე გადავიდეს. კვლევა გვიჩვენებს, რომ აქტიური თავდაცვის ქმედებების გამომწვევი ფაქტორი არის „ინციდენტის დროს ურთიერთობის მახეში გაბმისა“ და „ზღვარზე ყოფნის“ განცდა.[148]

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ოჯახში ძალადობის გავლენა დანაშაულის ჩამდენ ქალზე შეაფასოს კვალიფიციურმა ექსპერტმა, რომელსაც შეუძლია, სასამართლოს განუმარტოს ის კონკრეტული მდგომარეობა, რომელშიც ქალი იყო განმეორებითი ძალადობის აქტების შედეგად, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ის საშუალებები, რომლებიც მან გამოიყენა თავის დასაცავად (ექსპერტი მოწმის გამოყენების მნიშვნელობასთან დაკავშირებით იხილეთ ნაწილი 2.5 ქვემოთ). ქვემოთ წარმოდგენილია მსხვერპლ ქალზე ოჯახში ძალადობის ფსიქოლოგიური ზემოქმედების შესახებ არსებული თეორიების მოკლე შეჯამება, რათა დაეხმაროს პრაქტიკოს იურისტებს, უკეთ გაიგონ ის გარემოებები, რომლებიც უბიძგებს ქალს სასიკვდილო ძალის გამოყენებისკენ და დაასაბუთოს დაცვის გარემოებები პროვოკაციის, აუცილებელი მოგერიებისა და იძულების ქვეშ მოქმედებასთან დაკავშირებით:

ოჯახში ძალადობის ზემოქმედება ქალზე სხვადასხვანაირად არის გამოკვლეული და აღწერილი. „სისტემატური ძალადობის მსხვერპლი ქალის სინდრომი“ შეიმუშავა ფსიქოლოგმა, ლენორ უოკერმა 1979 წელს.[149] ეს სინდრომი აღწერს ძალადობის ციკლს, რომელშიც ექცევა ქალი (იხილეთზემოთ) და ამ ძალადობის გავლენას მასზე, რაც ქმნის „დასწავლილი უმწეობის“ მდგომარეობას. დასწავლილი უმწეობა არის თეორია, რომლის შესაბამისად, ქალის ცემის არაპროგნოზირებადობა და ამის თავიდან აცილების აშკარა შეუძლებლობა აიძულებს მას, შეურიგდეს ბედს და გამოიმუშაოს რიგი გავრცელებული თვისებები, როგორიცაა, მაგალითად,

144 დუბანი (n 52), გვ. 91.
145 ციხის საერთაშორისო რეფორმა, „მოკლე შემაჯამებელი დოკუმენტი: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა: ქალთა დისკრიმინაცია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში“ (2012 წლის იანვარი) <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2013/08/BRIEFING-Discrimination-women-criminal-justice.pdf> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, გვ. 1.
146 იხილე შენიშვნა 6.ბ
147 ციხის რეფორმების ტრასტი, „ციხის რეფორმების ტრასტის მოკლე შემაჯამებელი დოკუმენტი ოჯახში ძალადობის კანონპროექტის შესახებ: კანონპროექტის წინასწარი კვლევა“, (2019 წლის აპრილი) <http://www.prisonreformtrust.org.uk/Portals/0/Documents/PRT%20submission%20pre-leg%20scrutiny%20draft%20domestic%20abuse%20bill%20FINAL.pdf> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, პარაგრაფი 3.5.
148 ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, „ქალები, რომლებიც კლავენ: მოკლე მიმოხილვა“ (n 58), გვ. 4.
149 L.E. Walker, The Battered Woman (New York: Harper & Row, 1979). (ლ. ე. უოკერი, "სისტემატური ძალადობის მსხვერპლი ქალი" (ნიუ-იორკი: ჰარპერი და როუ, 1979))

დაბალი თვითშეფასება, საკუთარი თავის დადანაშაულება ძალადობის გამო, შფოთვა, დეპრესია, შიში, ზოგად მოვლენებში ეჭვის შეტანა და რწმენა, რომ მხოლოდ მას შეუძლია შეცვალოს თავისი გასაჭირი. „ძალადობის მსხვერპლი ქალის სინდრომი“ გამოყენებულია იმ ქალების სასამართლო პროცესზე, რომლებმაც მკვლელობა ჩაიდინეს აუცილებელი მოგერიების დროს, იმის ასახსნელად, თუ როგორ შეუწყო ხელი ოჯახში ძალადობის ისტორიამ ქალის მხრიდან აუცილებელი მოგერიების რეაქციას. გაეროს გენერალური ასამბლეის განახლებული მოდელური სტრატეგიების თანახმად, ეს არის გასათვალისწინებელი შემამსუბუქებელი გარემოება, რომელიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის დროს.[150] თუმცა, ამ ტერმინს და მის უკან არსებულ თეორიას აკრიტიკებენ ძალადობის მსხვერპლი ქალების პათოლოგიზების გამო. ძალადობის მსხვერპლი ქალის სინდრომი დღეს აღიარებულია, როგორც პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ქვეკატეგორია.[151]

შედარებით ბოლო პერიოდში ყურადღება მახვილდება „ძალადობაზე ინტიმური პარტნიორის მხრიდან და მის შედეგებზე“, სხვა ისეთი თეორიების საფუძველზე, როგორიცაა „იძულებითი კონტროლი“,[152] რომელიც ინტიმური პარტნიორის მხრიდან ქალზე ძალადობის გავლენისა და ძალადობის მსხვერპლი ქალის რეაქციების ასახსნელად შეიმუშავა ოჯახში ძალადობის ექსპერტმა, პროფესორმა ევან სტარკმა. კერძოდ, იძულებითი კონტროლი შეეხება ქცევის სისტემატურ მოდელს, რომლის მიზანია სხვა ადამიანზე ბატონობა ფსიქოლოგიური ძალადობის, მათ შორის მანიპულირების, დამცირების, იზოლირებისა და კონტროლის გზით. შედეგად, ის ადამიანები, რომლებიც განიცდიან იძულებით კონტროლს, ხშირად ხდებიან იზოლირებულები, ხვდებიან ურთიერთობის მახეში და შიშობენ საკუთარი და საყვარელი ადამიანების უსაფრთხოების გამო. უფრო მეტიც, იძულებითი კონტროლით შესაძლებელია შიშის ჩანერგვა ფიზიკური ძალადობის არასებობის პირობებშიც კი, რაც გრძელდება ურთიერთობის დასრულების მერეც.[153]

2015 წელს ინგლისსა და უელსში იძულებითი და მაკონტროლებელი ქცევის კრიმინალიზებამ მნიშვნელოვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება განაპირობა ინგლისში ოჯახში ძალადობის კონტექსტში მკვლელობებთან დაკავშირებით, რაც სალი ჩალენის საქმეზე კარგად გამოჩნდა.[154] მკვლელობის საქმის პირველ სასამართლო განხილვაზე არც თავად ბრალდებული და არც მისი სამართლებრივი გუნდი არ აკეთებდა აქცენტს სალი ჩალენის ქმრის ძალადობრივ ქცევაზე, თუმცა მოითხოვდნენ „პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის გამო“. 2011 წელს იგი დამნაშავედ ცნეს მკვლელობაში და უვადო პატიმრობა მიუსაჯეს. 2017, წელს, იძულებითი და მაკონტროლებელი ქცევის შესახებ კანონის მიღების შემდეგ,[155] იურისტების ახალმა გუნდმა გაასაჩივრა განაჩენი ახალი ფსიქიატრიული და ექსპერტის მტკიცებულებების საფუძველზე, რაც ადასტურებდა, რომ ქორწინებაში ყოფნის დროს სალი ჩალენი იყო მაკონტროლებელი ქცევის მსხვერპლი. 2019 წელს მან აღიარა სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, მიესაჯა 14 წელი და გაათავისუფლეს იმის გამო, რომ უკვე მოხდილი ჰქონდა შესაბამისი სასჯელი. ამ საქმემ მსგავსი საფუძვლებით რამდენიმე მკვლელობის საქმის ხელახალი გახსნა გამოიწვია.[156]

---

150 გაეროს გენერალური ასამბლეა, განახლებული სტრატეგიული მოდელები და პრაქტიკული ზომები ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის შესახებ, სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციისა და მართლმსაჯულების სფეროში (2010) გაეროს დოკ. A/RES/65/228, პარაგრაფი 15(k).

151 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, დაავადებების საერთაშორისო კლასიფიკაცია (ICD-11) სიკვდილობისა და ავადობის სტატისტიკისთვის: 6B40 პოსტტრავმული სტრესული აშლილობა <https://icd.who.int/browse11/l-m/en#/http://id.who.int/icd/entity/2070699808> წვდომა განხორციელდა 2021 წლის 29 ოქტომბერს.

152 Evan Stark, Coercive Control: How Men Entrap Women in Personal Life (New York: Oxford University Press, 2007). (ევან სტარკი, „იძულებითი კონტროლი“: როგორ აბამენ მამაკაცები ქალებს პირადი ცხოვრების მახეში (ნიუ-იორკი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007).

153 მელისა ე. დიქტერი, კრისტი ა. ტომასი და სხვ. „იძულებითი კონტროლი ინტიმური პარტნიორის ძალადობაში: ურთიერთობა, რომლის დროსაც ქალი განიცდის ძალადობას, ხდება ძალადობის გამოყენება და არის საფრთხე“ (NCBI) <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6291212/> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.

154 საქმე „რ ჩალენის წინააღმდეგ“ (R v Challen) [2019] EWCA Crim 916; მართლმსაჯულება ქალებისთვის, სალი ჩალენი <https://www.justiceforwomen.org.uk/sally-challen-appeal> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.

155 დიდი ბრიტანეთის პროკურატურა სისხლის სამართლის საკითხებთან დაკავშირებით (Crown Prosecution Service), „მაკონტროლებელი ან იძულებითი ქცევა ინტიმურ ან ოჯახურ ურთიერთობებში“ <https://www.cps.gov.uk/legal-guidance/controlling-or-coercive-behaviour-intimate-or-family-relationship> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს (იხილეთ ნაწილი „3.1 ნაწილი 76, 2015 წლის სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის შესახებ კანონის - მაკონტროლებელი ან იძულებითი ქცევა ინტიმურ ან ოჯახურ ურთიერთობებში“).

156 ჰანა სამერსი, „განახლებული მკვლელობის საქმეები სალი ჩალენის აპელაციის კვალდაკვალ“ (გარდიანი, 2021 წლის 10 ივლისი) <https://www.theguardian.com/society/2021/jul/10/cases-reopened-in-wake-of-sally-challen-appeal> წვდომა 2021 წლის 29

ექსპერტები, მაგალითად პროფესორი ევან სტარკი, იძულებით კონტროლს მძევლად აყვანას ადარებენ.[157] ამ დროს მსხვერპლს, შესაძლოა, მძევლად აყვანის მსხვერპლების ქცევის მსგავსი მოდელები განუვითარდეს, მათ შორის - „სტოკჰოლმის სინდრომი“.[158] ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს ასევე, შეიძლება განუვითარდეთ „დაგროვილი ბრაზის რეაქცია“ როდესაც „ძალადობის სიტუაციაში ქალი იმწამიერად არ რეაგირებს ძალადობაზე, ნაწილობრივ ფსიქოლოგიური მიზეზების გამო, მაგრამ ასევე იმიტომ, რომ მოძალადესა და მსხვერპლს შორის ფიზიკური უთანასწორობა არსებობს, რის გამოც მყისიერი რეაგირება მსხვერპლს ფუჭად ან კიდევ უფრო სახიფათოდ ეჩვენება“.[159]

აღიარებულია, რომ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა სერიოზულად აისახება მსხვერპლზე. იგი განიცდის სტრესს და აქვს მძიმე ტრავმის გარკვეული გამოცდილება. ოჯახში ძალადობის ფსიქოლოგიური შედეგებია დეპრესიის, შფოთვის, დაუცველობის, თავდაჯერების დაკარგვის, პანიკური შეტევების, ძილისა და კონცენტრაციის სირთულეების მაღალი დონე.[160] უნდა გვესმოდეს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ საფრთხეზე და ტრავმაზე, კერძოდ, არსებობს „გაქცევის, შებრძოლების, გაშეშების, დაცემის/თავის მომკვდარუნებისა და მეგობრობის თავდაცვითი გადარჩენის ქცევები:[161]

> “შებრძოლება: მე ვარ უფრო დიდი, ძლიერი და შემიძლია გავიმარჯვო ამ ადამიანზე. ჩემს პოზიციას დავიცავ და გავიმარჯვებ;
>
> გაქცევა: უფრო პატარა ვარ და ვერ გავიმარჯვებ, თუმცა შემიძლია თავი დავიძვრინო, ამიტომ გავიქცევი;
>
> გაშეშება: ვერ გავიქცევი და ვერ გავიმარჯვებ, გავშეშდები, რადგან თუ რეაქცია არ მექნა, შეიძლება ინტერესი დაკარგოს და წავიდეს;
>
> დაცემა/თავის მომკვდარუნება: არ მიდის, თუ გავშეშდი უფრო მეტკინება ამიტომ დავეცემი, თავს მოვიმკვდარუნებ, მერე ეს დასრულდება და წავა;
>
> მეგობრობა: არ შემიძლია ამის შეჩერება, თუ გადმოვიბირებ და ბედნიერი მეყოლება, იქნებ ასე ძალიან არ მატკინოს”.[162]

ამით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ არ რეაგირებს მყისიერად ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, რაც ტრადიციულად მოსალოდნელია აუცილებელი მოგერიების დროს. შესაბამისად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთან დაკავშირებით საჭიროა განსაკუთრებული გულმოდგინების გამოჩენა სასამართლო პროცესის კონტექსტში იმ ქალების მიმართ, რომლებმაც ტრავმა მიაყენეს ან მოკლეს პარტნიორი, რათა ადეკვატურად შეფასდეს, თუ როგორი გავლენა შეიძლება მოახდინოს ქალზე სისტემატურმა ძალადობამ და ეს მხედველობაში იქნას მიღებული გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნისა და განაჩენის გამოტანის დროს.

ოქტომბერს.

157 Women’s Aid, „რას წარმოადგენს იძულებითი კონტროლი?“ <https://www.womensaid.org.uk/information-support/what-is-domestic-abuse/coercive-control/> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.

158 როზა ლოგარი და ბრანისლავა მარვანოვა ვარგოვა, „ეფექტური უწყებათშორისი თანამშრომლობა ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის შესახებ“ (CoE, 2015 წლის სექტემბერი) <https://rm.coe.int/16806ee730> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, გვ. 36.

159 ციხის საერთაშორისო რეფორმა (n 6), გვ. 4.

160 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, „ძალადობა ქალთა მიმართ: ეპიდემიური მასშტაბის გლობალური ჯანმრთელობის პრობლემა“ (2013 წლის 20 ივნისი) <https://www.who.int/news/item/20-06-2013-violence-against-women-a-global-health-problem-of-epidemic-proportions-> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.

161 Cotswold Centre For Trauma Healing, „როგორ ხდება პოსტტრავმული სტრესული აშლილობა“ <https://cotswoldcentrefortrauma-healing.co.uk/how-ptsd-occurs/> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.

162 ალისონ ვუდვორდი, „როგორ მუშაობს ტვინი ტრავმულ მოვლენაზე რეაგირების დროს“ (სექსუალური ტრავმის და გამოჯანმრთელების სამსახური - დორსეტის გაუპატიურების მსხვერპლთა ცხელი ხაზი, 2020 წლის 31 იანვარი) <https://www.starsdorset.org/blog/how-the-brain-works-in-response-to-a-traumatic-event-fight-flight-freeze-flop-friend> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.

2.3. აუცილებელი მოგერიების ელემენტების ინტერპრეტაცია ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კონტექსტში

2.3.1. უკანონო აგრესიის არსებობა

მართალია, ყველა იურისდიქციაში კრიმინალიზებული არ არის ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ყველა ფორმა, მაგრამ ყველა საერთაშორისო ინსტრუმენტი აღიარებს ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობას, როგორც ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევას[163] და სახელმწიფოებისგან მოითხოვს უზრუნველყონ, რომ კრიმინალიზებული იყოს ოჯახში ძალადობის ყველა ფორმა.[164]

მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავი ორგანოები ამას ხშირად უგულებელყოფენ, დიდი ხანია, რაც საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები[165] და სასამართლო პრაქტიკა[166] ძალადობის ცალკე ფორმად აღიარებს ქალთა მიმართ ფსიქოლოგიურ ძალადობას. კერძოდ, წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის აზრით, არა მარტო ფიზიკური ძალადობა, არამედ ფსიქოლოგიური და ემოციური ძალადობაც, მათ შორის იძულებითი კონტროლი, უტოლდება სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას და წამებასაც კი.[167] სტამბულის კონვენციის თანახმად, სახელმწიფოებს ევალებათ მიიღონ საჭირო ზომები ფსიქოლოგიური ძალადობის კრიმინალიზებისთვის.[168]

შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ოჯახში ძალადობის ყველა ფორმა უკანონოა.

2.3.2. გარდაუვალი საფრთხე და მოცემულ მომენტში არსებული ძალადობა

ბელემ დო პარას კონვენციის ზედამხედველობის მექანიზმის ექსპერტთა კომიტეტი (MESECVI) მხარს უჭერს გარდაუვალი საფრთხის შეფასებას, რაც მოიცავს გენდერულ პერსპექტივას, იმის გათვალისწინებით, რომ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობას მიმდინარე ხასიათი აქვს, რაც „განგრძობად ძალადობრივ სიტუაციას“ წარმოადგენს, რა დროსაც ძალადობა შეიძლება მოხდეს ნებისმიერ წამს და გამოიწვიოს ნებისმიერმა გარემოებამ, და რომ ქალი „განიცდის მუდმივ შიშს, შფოთვას და ნერვიულობას, რომ მას ნებისმიერ მომენტში შეიძლება თავს

163 იხილე შენიშვნა 113.
164 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 35 (2017), პარაგრაფი 29; სტამბულის კონვენცია (n 2), მუხ 33.
165 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 35 (2017), პარაგრაფები 14, 29; სტამბულის კონვენცია (n 2) art 3(a), 3(b), 33.
166 საქმე „ჰაიდუოვა სლოვაკეთის წინააღმდეგ“ (Hajduová v Slovakia) განაცხადი № 2660/03 (ECtHR, 2010 წლის 30 ნოემბერი), პარაგრაფი 49; საქმე „ვალიულიენე ლიეტუვის წინააღმდეგ“ (Valiulienė v Lithuania) განაცხადი № 33234/07 (ECtHR, 2013 წლის 26 მარტი), პარაგრაფი 69; საქმე „პოლშინა რუსეთის წინააღმდეგ“ (Polshina v Russia) განაცხადი № 65557/14 (ECtHR, 2020 წლის 16 ივნისი), პარაგრაფი 28; საქმე „ვოლოდინა რუსეთის წინაადმდეგ“ (Volodina v Russia) (no. 2) განაცხადი № 40419/19 (ECtHR, 2021 წლის 14 სექტემბერი).
167 გაეროს გენერალური ასამბლეა, „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის რელევანტურობა ოჯახში ძალადობის კონტექსტში, წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში (2019) გაეროს დოკ. A/74/148, პარ. 34
168 სტამბულის კონვენცია (n 2), მუხლი 33.

დაესხან“.[169] შესაბამისად, კომიტეტი ადგენს, რომ ვინაიდან ოჯახში ძალადობა წარმოადგენს უწყვეტ, განგრძობად ზიანს, „გარდაუვალი საფრთხის დამტკიცების მოთხოვნა არ უნდა ეხებოდეს მხოლოდ თავდასხმის კონკრეტულ მომენტს, რადგანაც ეს მოქმედება არ ხდება დროის ერთ განცალკევებულ მომენტში და წარმოადგენს მხოლოდ ერთ ინციდენტს უწყვეტი ძალადობის პროცესში, რომელშიც შესაძლებელია დასაწყისის განსაზღვრა, მაგრამ შეუძლებელია მისი კონკრეტული დასასრულის დადგენა“.[170] შესაბამისად, „გონივრულია ვიფიქროთ, რომ ქალს, რომელიც რეგულარული ძალადობის მსხვერპლია და რომელიც მოელის ძალადობას ნებისმიერ წამს, სჯეროდეს, რომ თავდამსხმელი მის მოკვლას აპირებდა“.[171]

ექსპერტთა კომიტეტს (MESECVI) მაგალითად მოჰყავს ბელემ დო პარას კონვენციის მხარეების რამდენიმე განაჩენი, რომელიც ასახავს ამ გენდერულ პერსპექტივას. კერძოდ, ჩილეს უზენაესმა სასამართლო დაადგინა, რომ ოჯახში ძალადობის გარდაუვალი საფრთხე, რომელიც განიცადა მოსარჩელემ იმას ნიშნავდა, რომ მსხვერპლი არ იყო ვალდებული, დალოდებოდა ფაქტობრივი ძალადობის მომენტს და აღნიშნა, რომ „არ არის საჭირო დალოდება, რომ ჯერ მეორე პირმა იმოქმედოს“ და რომ „არ არის აუცილებელი, ადგილი ჰქონდეს თავდასხმას ადამიანზე, იმისათვის, რომ მსხვერპლმა თავი დაიცვას. საკმარისია, რომ მსხვერპლს ეშინოდეს გარდაუვალი საფრთხისა, რათა მან მიიღოს სათანადო ზომები ამის თავიდან ასაცილებლად“.[172]

მსგავსი მიდგომა აქვს ევროპის საბჭოსაც. „გარდაუვალი საფრთხის'' განმარტება, რომელიც წარმოდგენილია სტამბულის კონვენციის განმარტებით ბარათში, აღიარებს კონტექსტს: „ოჯახში ძალადობის ნებისმიერი სიტუაცია, რომელშიც ზიანი არის გარდაუვალი ან „უკვე მატერიალიზდა და, სავარაუდოდ, განმეორდება“ (ხაზგასმა დამატებულია)[173] . სასამართლომ მსგავსი განმარტება გამოიყენა ოჯახში ძალადობის საქმეში, რომელიც სასიკვდილო შედეგით დასრულდა. კერძოდ, საქმეში ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v Turkey), სასამართლომ განმარტა: „ურთიერთობების ისტორიის განხილვისას, ნათელი გახდა, რომ დამნაშავეს ჰქონდა ოჯახში ძალადობის წინარე შემთხვევები და, შესაბამისად, არსებობდა მომავალი ძალადობის მნიშვნელოვანი საფრთხე,[174]“ ხოლო ძალადობა უნდა განიხილებოდეს, როგორც ურთიერთდაკავშირებული მოვლენების ერთობლიობა.[175] მოსამართლე პინტო დე ალბუკერკი იმეორებს სტამბულის კონვენციის განმარტებას და საკუთარ მოსაზრებაში აცხადებს, რომ „გამეორება და ესკალაცია, რომელიც ოჯახში ძალადობის შემთხვევების უმრავლესობას ახასიათებს, გარდაუვალი საფრთხის არსებობის მოთხოვნას, გარკვეულწილად, ხელოვნურს და დამაზიანებელსაც კი ხდის. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საფრთხე, შესაძლოა, არ იყოს გარდაუვალი, ეს საფრთხე არსებობის შემთხვევაში უკვე სერიოზულია“.[176]

ბოლო პერიოდში, სასამართლომ პირდაპირ დაუჭირა მხარი ამ მიდგომას საქმეზე თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ (Tkhelidze v Georgia): „როდესაც ოჯახში ძალადობის ხანგრძლივი სიტუაცია გვაქვს, თითქმის არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი, რომ მსხვერპლს გარდაუვალი საფრთხე ემუქრებოდა“.[177]

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) სახელმძღვანელოში ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის ეფექტური სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ, მოცემულია შემდეგი მითითებები:

> „მისი მოქმედებები აუცილებელი იყო გარდაუვალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად? ოჯახში ძალადობის ხანგრძლივი ისტორიის არსებობის შემთხვევაში, ხშირად იქმნება ძალადობის მოდელები და მსხვერპლი ეჩვევა მიმანიშნებელი სიგნალების ამოცნობას,

169 MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტი (n 6), გვ. 4.
170 იქვე, გვ. 4.
171 იქვე.
172 იქვე, გვ. 5.
173 სტამბულის კონვენციის განმარტებითი ბარათი, პარაგრაფი 265.
174 საქმე „ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ“ (Opuz v Turkey) განაცხადი № 33401/02 (ECtHR, 2009 წლის 09 ივნისი), პარაგრაფი 134.
175 იქვე, პარაგრაფი 111.
176 საქმე „ვალიულიენე ლიეტუვის წინააღმდეგ“ (Valiulienė v Lithuania) განაცხადი № 33234/07 (ECtHR, 2013 წლის 26 მარტი), მოსამართლე პინტო დე ალბუკერკეს თანმხვედრი აზრი.
177 საქმე „თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Tkhelidze v Georgia) განაცხადი № 33056/17 (ECtHR, 2021 წლის 8 ივლისი), პარაგრაფი 53.

> რომლებიც გარდაუვალ ძალადობაზე მეტყველებს. კერძოდ, ქცევა, რომელიც თავიდან საფრთხის შემცველად არ ეჩვენება პროკურორს, ისტორიისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შესაძლოა, გარდაუვალ საფრთხეს მოასწავებდეს. ძალის გამართლებული დონე იზრდება უკანონო სასიკვდილო ძალის გარდაუვალ საფრთხეზე რეაგირების დროს".[178]
>
> „გახსოვდეთ, რომ ძალადობის მსხვერპლი შესაძლოა, იცნობდეს და რეაგირებდეს მოძალადის მოსალოდნელი ძალადობის მცირე ქცევით ინდიკატორებზე. ძალადობაზე ამ მინიშნებების შეფასების სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ხშირად ვერ აღწევენ ფიზიკური „აგრესიის" იმ დონემდე, რითაც, როგორც წესი, განისაზღვრება ეს ტერმინი. მოსალოდნელი ძალადობის თავიდან აცილების მცდელობის დროს მსხვერპლმა შეიძლება უფრო აგრესიული ძალადობრივი ქცევითი რეაგირება მოახდინოს მოძალადის მიმართ".[179]

2.3.3. ქალების მიერ თავდასხმის მოსაგერიებლად გამოყენებული საშუალებების გონივრულობა და თანაზომიერება

სამართალდამცავი ორგანოები ქალის მიერ თავდასხმის მოსაგერიებლად გამოყენებულ საშუალებებს ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავენ, როგორც არათანაზომიერს, შეფასებისას ქალის მოქმედებებს მსგავს სიტუაციაში მყოფი მამაკაცის ქცევას ადარებენ, ან აფასებენ, როგორ მოიქცეოდა „ნორმალური" ქალი. კერძოდ, ქალებს ხშირად უყენებენ განზრახ მკვლელობის ბრალს იმ ფაქტის გამო, რომ მათ მიერ გამოყენებული იარაღი, მაგალითად დანა, დაგეგმვისა და მომზადების მტკიცებულებად მიიჩნევა.[180]

2.3.3.1. გამოყენებული საშუალებების გონივრულობა და თანაზომიერება

სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გამოიყენონ გენდერული პერსპექტივა, როდესაც განიხილავენ ქალისათვის ხელმისაწვდომ საშუალებებს თავის დასაცავად, მაგალითად, გაითვალისწინონ, რომ „რეაგირების თანაზომიერება განცდილი აგრესიის მიმდინარე ხასიათს უკავშირდება".[181]

უნდა გავითვალისწინოთ, რომ, დიდი ალბათობით, ქალი ვერ შეძლებს თავის დაცვას შიშველი ხელებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოძალადე შეუიარაღებელია. თავდასხმის ხასიათსა და ქალის მიერ აუცილებელი მოგერიების საშუალებებს შორის აშკარა „არათანაზომიერება" შეიძლება აიხსნას შემდეგი გავრცელებული ფაქტორებით: i) ქალისა და მამაკაცის არათანაბარი ფიზიკური ძალა; ii) გენდერული სოციალიზაცია, რაც არ ასწავლის ქალს, თუ როგორ მოახდინოს რეაგირება ფიზიკურ თავდასხმაზე და როგორ გამოიყენოს იარაღი;[182] iii) ქალის ფსიქიკურ მდგომარეობაზე ძალადობის ციკლის გავლენა, რაც ხელს უშლის ქალს ტრადიციული სისხლის სამართლით გათვალისწინებული მამაკაცური სტანდარტების შესაბამისად მოქმედებაში;[183] iv) ქალს ეშინია,

178 გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) სახელმძღვანელო ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის ეფექტური სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ (n 61), გვ. 85.
179 იქვე.
180 დუბანი, დავთიანი, ფროლოვა, „კვლევა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ მათ შორის სოციალურად დაუცველ სიტუაციებში რუსეთის ფედერაციაში" (CoE, 2020 წლის აპრილი) <https://rm.coe.int/publication-research-on-vaw-and-dv-in-situations-of-social-disavantage/16809e4a04> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, გვ. 36.
181 MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტი (n 6), გვ. 5.
182 იქვე, გვ. 7.
183 იქვე.

რომ თავდამსხმელი სწრაფად აღიდგენს ძალებს და უფრო მეტ ძალადობას ჩაიდენს.[184] აქვე გასათვალისწინებელია ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული ისტორიული უთანასწორობის როლიც.

მართლმსაჯულებაზე ქალების თანაბარი წვდომის შესაძლებლობის კვლევა, რომელიც ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის კომისიამ განახორციელა, ყურადღებას ამახვილებს, რომ „აუცილებელი მოგერიების არსებული ცნებები სათანადოდ ვერ ასახავს იმ ქალების რეალობას, რომლებიც წლების მანძილზე ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის ქვეშ იყვნენ და უბრალოდ ვერ ბედავენ, პირდაპირ დაუპირისპირდნენ მოძალადეს იარაღის გარეშე".[185]

აღსანიშნავია, რომ, მართალია, გაერთიანებულ სამეფოში აუცილებელი მოგერიების შეფასება დამოკიდებულია იმაზე, გამოყენებული ძალა გონივრული იყო თუ არა, იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რაც სჯეროდა მოცემულ პირს („გულწრფელი რწმენა"), მაგრამ არსებობს კანონის უფრო მაღალი ნორმა ბინის მესაკუთრეებისთვის, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, გამოიყენონ არათანაზომიერი ძალა უცხო ადამიანის შემოჭრის შემთხვევაში (უკიდურესად არათანაზომიერი ძალა არ ჩაითვლება გონივრულად).[186] გადაწყვეტილების მიღებისას იმასთან დაკავშირებით, ძალა „არათანაზომიერად" უნდა ჩაითვალოს თუ „უკიდურესად არათანაზომიერად", სასამართლო თითოეულ შემთხვევაში განიხილავს ფაქტებს, მათ შორის, ბინის მესაკუთრის პირად გარემოებებს და საფრთხეს (რეალურს ან აღქმულს), რომელსაც დამნაშავე წარმოადგენდა. დღეისათვის, კანონში ცვლილებების შეტანის მოწოდებების მიუხედავად, რომ ეს ნორმა გავრცელდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიმართ, ის მხოლოდ საკუთრებაში შემოჭრილი პირისგან დამცველებზე ვრცელდება.

2.3.3.2. მოლოდინები, თუ რა უნდა ან შეეძლო გაეკეთებინა ქალს თავის დაცვის ნაცვლად

საკმაოდ ხშირად სასამართლო ორგანოები ადგენენ, რომ აუცილებელი მოგერიების მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული, ასევე აკეთებენ შენიშვნას, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ან როგორ შეიძლებოდა მოქცეულიყო ქალი ფიზიკური ძალის გამოყენების ნაცვლად, მაგ. დაშორებოდა პარტნიორს, ეცნობებინა სამართალდამცავი ორგანოებისთვის, გაქცეულიყო და სხვ.[187]

MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტი უარყოფს ამგვარ პრეზუმფციებს:

> „არ შეიძლება გენდერული ნიშნით ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების დავალდებულება, რომ „შეეგუონ ამას" და არ დაიცვან თავი. როდესაც ძალადობა ხდება ქორწინებაში ან ოჯახურ პარტნიორობაში, რაც, თავისი განმარტებით, გულისხმობს ორ მხარეს შორის ერთობას, ეს ვალდებულება აღარ არსებობს ორ ადამიანს შორის და ქალს არ ევალება, აიტანოს ძალადობა ან იძულებული იყოს, დატოვოს სახლი იმის ნაცვლად, რომ თავი დაიცვას".[188]

კომიტეტს მოჰყავს არგენტინის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მაგალითი, რომელმაც განმარტა, რომ

> „ყველა ეს რჩევა - მოძალადის შესახებ სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინება, გაქცევა ქალიშვილთან ერთად, ქმართან დაშორება – არსებობს „იდეალურ" სამყაროში. სტატისტიკით გამყარებული რეალობა კი ზუსტად საპირისპიროს გვიჩვენებს და ასახავს ოჯახში ძალადობის ციკლიდან მარტივად თავის დაღწევის ობიექტურ და სუბიექტურ შეუძლებლობას. ეს რჩევები ეწინააღმდეგება საერთაშორისო ინსტრუმენტების შინაარსს და

184 იქვე, გვ. 6.
185 გენდერული თანასწორობის კომისია, „ქალების მართლმსაჯულებაზე თანაბარი წვდომის განხორციელების შესაძლებლობის შეფასება" (CoE, 2013 წლის 28 მაისი) <https://rm.coe.int/1680597b1d> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, პარაგრაფი 33.
186 Criminal Justice and Immigration Act 2008, Section 76 (5A) (სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და ემიგრაციის შესახებ 2008 წლის კანონი, მუხლი 76 (5ა)) (დებულება ძალაში შევიდა 2013 წლის 25 აპრილს).
187 მაგ. გრიაზნოვა (n 20), გვ. 13-დან.
188 MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტი (n 6), გვ. 6.

ამ თემაზე არსებულ შიდა რეგულაციებს, როგორც ეს მოცემულია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელმაც დაადგინა, რომ „ მტკიცება [...], რომ მხოლოდ იმიტომ, რომ ქალი გარდაცვლილთან ერთად ერთ სახლში ცხოვრობდა, მისი იქ ცხოვრობა ნებაყოფლობითი იყო, და რომელიც აუცილებელი მოგერიების დისკრედიტირებას ცდილობს, - ხელს უწყობს რწმენას, რომ ის ნებაყოფლობით დათანხმდა ჰიპოთეტურ უკანონო თავდასხმას. ეს არა მხოლოდ უგულებელყოფს საერთაშორისო კონვენციებს და შიდა ნორმებს ამ საკითხთან დაკავშირებით, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება კიდეც მათ შინაარსს".[189]

საერთაშორისო სტანდარტებითა და მითითებებით საყოველთაოდ აღიარებულია, რომ არასათანადო დასკვნები არ უნდა იქნას გამოტანილი იმ შემთხვევაში, თუ ქალი არ წყვეტს ურთიერთობას ან/და დაუყოვნებლივ ან საერთოდ არ ატყობინებს სამართალდამცავ ორგანოებს ძალადობის შესახებ. გაეროს სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის ეფექტიანი სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ ყურადღებას ამახვილებს, რომ ხშირად ხდება გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის შესახებ შეტყობინების დაგვიანება და ეს არ უნდა აისახოს პროკურორის მხრიდან ვალდებულების შესრულებაზე.[190] გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინფორმაციით, ძალადობის მსხვერპლ ქალთა 40 %-ზე ნაკლები ითხოვს რაიმე ფორმის დახმარებას. მათ შორის, 10 %-ზე ნაკლები მიდის პოლიციაში.[191] გაერთიანებულ სამეფოში სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ ქალი ოჯახში ძალადობის საშუალოდ 35 ინციდენტს განიცდის მანამ, სანამ პირველად დარეკავს პოლიციაში.[192]

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მოუწოდა სახელმწიფოებს, არ გამოიტანონ არასათანადო დასკვნები სავარაუდო სამართალდარღვევასა და ამ სამართალდარღვევის შესახებ შეტყობინებას შორის არსებული დაგვიანების გამო.[193] გაეროს სახელმძღვანელოში ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობის შესახებ ასევე მოცემულია კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს „რაიმე სახის არასათანადო დასკვნების გამოტანას სავარაუდო ძალადობის ჩადენასა და მის შეტყობინებას შორის არსებული დროის ნებისმიერი ხანგრძლივობიდან გამომდინარე".[194] ამგვარ დაგვიანებას, შესაძლებელია, სხვადასხვა მიზეზი განაპირობებდეს, მათ შორის: სტიგმის შიში; დამცირების შიში; შიში, რომ არ დაუჯერებენ; სამაგიეროს გადახდის შიში; მოძალადეზე ფინანსური ან ემოციური დამოკიდებულება; სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მექანიზმებისადმი უნდობლობა; შესაბამისი ინსტიტუტების მიუწვდომლობა, მათ შორის გეოგრაფიული; და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სპეციალიზებული პერსონალის არარსებობა.[195]

ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის ეფექტიანი სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ გაეროს სახელმძღვანელოს თანახმად, სამაგიეროს გადახდის შიში გამართლებულია:

„მსხვერპლმა მოძალადისგან შესაძლოა განიცადოს კონკრეტული მუქარა ან/და ზეწოლა, რომ არ მოხდეს მისი სისხლის სამართლებრივი დევნა, სხვებს კი ეშინიათ, რომ მოძალადე უფრო მეტ ძალადობას ჩაიდენს თუ მსხვერპლი განაცხადებს ამის შესახებ და მონაწილეობას მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში. კვლევა ოჯახში ძალადობის შესახებ გვიჩვენებს, რომ მსხვერპლთა შიშები საფუძვლიანია. ხშირ შემთხვევაში მოძალადის შესახებ

189 არგენტინის მართლმსაჯულების უზენაესი სასამართლო საქმეზე „ლეივა მარია სესილია, უბრალო მკვლელობა, 2011 წლის 1 ნოემბერი. ციტირებულია MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტის მიერ (n 6), გვ. 5-6.
190 გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) სახელმძღვანელო ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის ეფექტური სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ (n 61), გვ. 43.
191 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „ფაქტები და მონაცემები: ქალთა მიმართ ძალადობის დასრულება" <https://www.unwomen.org/en/what-we-do/ending-violence-against-women/facts-and-figures#notes> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.
192 კეირ სტარმერი, 'ოჯახში ძალადობა: ფაქტები, საკითხები, მომავალი - სახელმწიფო პროკურატურის დირექტორის სიტყვა' (CPC, 2011 წლის 4 დეკემბერი) <https://web.archive.org/web/20120504115444/https://www.cps.gov.uk/news/articles/domestic_violence_-_the_facts_the_issues_the_future/> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.
193 გაეროს გენერალური ასამბლეა, განახლებული სტრატეგიული მოდელები და პრაქტიკული ზომები ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის შესახებ, სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციისა და მართლმსაჯულების სფეროში (2010) გაეროს დოკ. A/RES/65/228, პარაგრაფი 15(ე).
194 გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა განყოფილების დეპარტამენტი ქალთა წინსვლისთვის „სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობის შესახებ" (2010) ST/ESA/32 პარაგრაფი 3.9.6. <https://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2012/12/unw_legislation-handbook%20pdf.pdf?la=en&vs=1502> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს),
195 იქვე.

> სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინება და მის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა შეიძლება აღქმული იქნას ურთიერთობის დასრულებად, რაც მსხვერპლისთვის მკვეთრად ზრდის პარტნიორის მიერ სერიოზული დაზიანების ან მოკვლის საფრთხეს. კვლევები გვიჩვენებს, რომ ქალი, რომელიც პარტნიორს დაშორდება, ოჯახში ძალადობის გაცილებით მაღალი საფრთხის წინაშე დგას. სხვა კვლევები კი გვიჩვენებს, რომ იმ ქალებისთვის, რომლებიც ტოვებენ მოძალადეს, განმეორებითი ძალადობის ალბათობა მოძალადესთან დარჩენილ ქალების რიკსის მსგავსი ან მეტიც კია“.[196]

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისადმი უნდობლობაც აღიარებული ფაქტორია როგორც გაეროს, ასევე ევროპის საბჭოს ინსტიტუტების მხრიდან. ეს ორგანიზაციები დოკუმენტურად ასახავენ მსხვერპლთა არადამაკმაყოფილებელი ან მტრული მოპყრობის გამოცდილებას სამართალდამცავი სისტემის მიერ, რომელიც ვერ ახერხებს დაიცვას ისინი, ბრალს სდებს და არცხვენს მათ:[197] „არაერთი ქალი, რომელმაც მოკლა პარტნიორი, საუბრობს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის წარსულ უუნარობაზე, დაეცვა იგი, როგორც მამაკაცის ძალადობის მსხვერპლი”.[198]

შესაბამისად, ქალის სტრატეგიები, რომლებსაც სამართალდამცავი ორგანოები ხშირად „პასიურობას“ ან „უმოქმედობას“ უწოდებენ, შეიძლება რეალურად გამოწვეული იყოს საფუძვლიანი შეფასებით, თუ როგორ უნდა დაიცვას თავი ან/და საკუთარი შვილი: „პარადოქსია, მაგრამ ძალადობრივ ურთიერთობაში დარჩენა შესაძლოა ძალადობის ესკალაციის რისკის მინიმუმამდე შემცირების ერთ-ერთი სტრატეგია იყოს. დაშორება მძიმე ძალადობრივი რეაქციის განმაპირობებელი ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი რისკის ფაქტორია. … ამიტომ, მსხვერპლს სჭირდება გარე მხარდაჭერა და უსაფრთხოების გეგმა, რომ მოძალადე პარტნიორის მიტოვებისას საფრთხეში არ აღმოჩნდეს“.[199]

196 გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) სახელმძღვანელო ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის ეფექტური სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ (n 61), გვ. 42-43.
197 იქვე, გვ. 43; ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, „ქალები, რომლებიც კლავენ: მოკლე მიმოხილვა“ (n 58), გვ. 3; დუბანი (n 52), გვ. 83.
198 ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, „ქალები, რომლებიც კლავენ: მოკლე მიმოხილვა“ (n 58), გვ. 3.
199 როზა ლოგარი და ბრანისლავა მარვანოვა ვარგოვა, „ეფექტური უწყებათშორისი თანამშრომლობა ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის შესახებ“ (2015 წლის სექტემბერი) <https://rm.coe.int/16806ee730> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, გვ. 41.

2.4. მტკიცებულებების მოპოვებისა და შეფასების სტანდარტები აუცილებელი მოგერიების საქმეებზე ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კონტექსტში

2.4.1. საქმის გენდერულად მგრძნობიარე მომზადება და გენდერულად მგრძნობიარე კომუნიკაცია

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) თანახმად, ხარისხიანი მართლმსაჯულების სისტემისთვის აუცილებელია, რომ „მართლმსაჯულების სისტემა იყოს კონტექსტზე დაფუძნებული, დინამიური, მონაწილეობითი, ინოვაციური პრაქტიკული ღონისძიებებისადმი გახსნილი, გენდერულად მგრძნობიარე და მხედველობაში იღებდეს მართლმსაჯულებაზე მზარდ მოთხოვნას ქალების მხრიდან".[200]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოდელური სტრატეგიები და პრაქტიკული ზომები ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის შესახებ სახელმწიფოებისგან მოითხოვს, „შეიმუშაონ და დანერგონ წესები და შესაბამისი ღონისძიებები გამოძიებისა და მტკიცებულებების მოპოვების შესახებ, რომლებიც ითვალისწინებს ძალადობის მსხვერპლთა განსაკუთრებულ საჭიროებებს, პატივს სცემს მათ ღირსებას და ხელშეუხებლობას და მინიმუმამდე ამცირებს მათ ცხოვრებაში შეჭრას, ამავდროულად კი იცავს მტკიცებულებების მოპოვების სტანდარტებს".[201] ამასთან, ძალადობის მსხვერპლებს უნდა ჰქონდეთ უფლება, ესაუბრონ ქალ ოფიცრებს.[202]

გენდერული პერსპექტივის გამოყენების შესახებ მოთხოვნები განსაკუთრებით რელევანტურია აუცილებელი მოგერიების შემთხვევებთან მიმართებით ოჯახში ძალადობის კონტექსტში. ქალთა მართლმსაჯულების ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევაში ხაზგასმულია, რომ ამ ტიპის საქმეზე:

- „მრავალი გამოკითხული ქალი აღწერს თავის გამოცდილებას, როდესაც იგი პირველად დააპატიმრა პოლიციამ. არაერთი მათგანისთვის, ეს პერიოდი ხასიათდებოდა ძლიერი შოკით და რთული ტრავმული რეაქციით, მათ შორის, საწყის ეტაპზე მეხსიერების დაკარგვით, დისოციაციური აშლილობით და თვითმკვლელობაზე ფიქრებით";[203]
- „ქალი, რომელმაც მოძალადე მოკლა, დიდი ალბათობით განიცდის ტრავმას, როდესაც პირველად აქვს შეხება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანოებთან";[204]
- „ქალებს უჭირთ ძალადობის, განსაკუთრებით სექსუალური ძალადობის, შესახებ საუბარი მამაკაც ადვოკატებთან, განიცდიან ძლიერი დანაშაულის გრძნობას თავიანთი ქმედების

200 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 33 (2015), პარაგრაფი 14(d).
201 გაეროს გენერალური ასამბლეა, განახლებული სტრატეგიული მოდელები და პრაქტიკული ზომები ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის შესახებ, სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციისა და მართლმსაჯულების სფეროში (2010) გაეროს დოკ. A/RES/65/228, პარაგრაფი 16(ე).
202 იქვე, პარაგრაფი 16(l).
203 ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, „ქალები, რომლებიც კლავენ" (n 6), გვ. 33.
204 იქვე, გვ. 8.

გამო და არ სურთ, უარყოფითად ისაუბრონ იმ მამაკაცის შესახებ, რომელიც „უყვარდათ““; [205]

- ქალებს უჭირთ მოძალადის ქცევის, როგორც ძალადობრივი ქცევის იდენტიფიცირება და ამის გამჟღავნება.[206]

შესაბამისად, „მრავალ საქმეზე ქალები დანაშაულს აღიარებენ, როდესაც პოლიცია ბრალს წაუყენებს, და არ იციან, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლად ყოფნის გამოცდილება შეიძლება იყოს საფუძველი, რომ არ მოხდეს მათი სისხლის სამართლებრივი დევნა“.[207]

იმის მიუხედავად, რომ ამ ქალებმა დანაშაული ჩაიდინეს, ისინი ოჯახში ძალადობის მსხვერპლებიც არიან (იხილეთ ნაწილი 2.2.2) და შესაძლოა, გამოავლინონ ძალადობის მსხვერპლის თვისებები. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) სახელმძღვანელოში ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის ეფექტიანი სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ, ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ ქალები, რომლებმაც გადაიტანეს ძალადობა „შესაძლოა, არ იქცეოდნენ სხვა დანაშაულის მსხვერპლთა მსგავსად და პროკურორი არ უნდა მოელოდეს, რომ ისინი ასე მოიქცევიან. პროკურორს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მსხვერპლი მტრულად არის განწყობილი, არ თანამშრომლობს ან არადამაჯერებელიც კი არის“.[208] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო ქალებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ მსგავს მითითებებს იძლევა მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის.[209]

შესაბამისად, გენდერულად მგრძნობიარე მიდგომა საჭიროებს, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა ამოიცნონ სტრესის ნიშნები ამ ქალებთან ურთიერთობის დროს, რომლებიც სამართალდამრღვევის სტატუსის მიუხედავად მაინც ოჯახში ძალადობის მსხვერპლად რჩებიან და თავი აარიდონ მეორეულ ვიქტიმიზაციას ნებისმიერი ფორმით. ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო ქალებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ აზუსტებს, რომ სათანადო პრაქტიკა გულისხმობს, ვკითხოთ ქალს, თუ რომელი სქესის პროკურორი ურჩევნია, დაინიშნოს მის საქმეზე. ამასთან, სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა დააკმაყოფილონ ქალის სურვილი ოჯახის წევრის, მეგობრის ან არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატის დასწრებასთან დაკავშირებით.[210]

ეს მოთხოვნები ვრცელდება საქმის ყველა ეტაპზე, სასამართლო განხილვის ჩათვლით. UNODC-ის სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის ეფექტიანი სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ მოითხოვს გენდერულად მგრძნობიარე მიდგომას ნაფიცი მსაჯულების მხრიდანაც კი – „პროკურორმა უნდა შეარჩიოს ნაფიცი მსაჯულები, რომლებსაც რეალისტური წარმოდგენა ექნებათ ქალთა მიმართ ძალადობის დინამიკის შესახებ, რადგან ასეთი ნაფიცი მსაჯულებისგან მოსალოდნელია სამართლიანი მიდგომა და თათბირის დროს შეიძლება სხვა ნაფიცი მსაჯულების განათლებასაც შეუწყონ ხელი”.[211]

საქმეზე „X. v Timor-Leste“, რაც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) პირველ საქმეს წარმოადგენს აუცილებელი მოგერიების საკითხთან დაკავშირებით, კომიტეტმა განიხილა, უზრუნველყო თუ არა სახელმწიფომ განმცხადებლის მიერ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობა „მიკერძოების, დისკრიმინაციის ან გენდერული სტერეოტიპების გარეშე“.[212] ამ საქმესთან დაკავშირებით კომიტეტმა დაადგინა, რომ ერთ-ერთი პირველი, რაც უნდა გაეკეთებინა სახელმწიფოს, იყო ქალისთვის სათანადო სამედიცინო

205 იქვე, გვ. 9.
206 ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, „ქალები, რომლებიც კლავენ: მოკლე მიმოხილვა“ (n 58), გვ. 6.
207 ციხის რეფორმების ტრასტი, „მოკლე შემაჯამებელი დოკუმენტი ოჯახში ძალადობის კანონპროექტის შესახებ: კანონპროექტის წინასწარი კვლევა„ (2019 წლის აპრილი) <http://www.prisonreformtrust.org.uk/Portals/0/Documents/PRT%20submission%20pre-leg%20scrutiny%20draft%20domestic%20abuse%20bill%20FINAL.pdf> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, პარაგრაფი 3.8.
208 გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) სახელმძღვანელო ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის ეფექტური სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ (n 61), გვ. 41.
209 დუბანი (n 52), გვ. 48.
210 იქვე, გვ. 74.
211 გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) სახელმძღვანელო ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის ეფექტური სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ (n 61), გვ. 117.
212 CEDAW, საქმე „X. v Timor-Leste“ (CEDAW/C/69/D/88/2015), პარაგრაფი 6.2.

და ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა.[213] კერძოდ, კომიტეტმა აღნიშნა „დაკავების შემდეგ ავტორისათვის ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის საჭიროება, რაც შესაფერისი იქნებოდა ადამიანისთვის, რომელიც აცხადებდა, რომ მას თავს დაესხნენ და რომ მან მოკლა თავდამსხმელი აუცილებელი მოგერიების დროს“.[214]

CEDAW კომიტეტი მოითხოვს, რომ „მსხვერპლს მიეწოდოს სათანადო დაცვისა და დახმარების სერვისები“.[215] გაეროს გენერალური ასამბლეა მოუწოდებს სახელმწიფოებს, „უზრუნველყონ ადეკვატური სამედიცინო, იურიდიული და სოციალური მომსახურებების გაწევა, რაც მგრძნობიარე იქნება მსხვერპლთა საჭიროებების მიმართ და იარსებებს, რათა ხელი შეუწყოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის საქმეების მართვას“.[216]

2.4.2. სამართალდამცავმა ორგანოებმა პროაქტიურად უნდა მოიპოვონ მტკიცებულებები და გამოიკვლიონ პოტენციური მტკიცებულებების ფართო სპექტრი

ეს მოთხოვნა გამომდინარეობს ზემოთ განსაზღვრული სამი წინაპირობიდან: i) ოჯახში ძალადობის ისტორიას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქალის მიერ დანაშაულის ჩადენასთან მიმართებით; თუმცა, ii) მისი სიტუაციისთვის დამახასიათებელი მრავალი მიზეზის, მათ შორის შიშის, ემოციური ან ეკონომიკური დამოკიდებულების გამო, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება არ თანამშრომლობდეს სამართალდამცავ ორგანოებთან; ამავე დროს, iii) ქალს ხშირად უჭირს, მოძალადის ქცევა განსაზღვროს, როგორ ძალადობრივი და გაამჟღავნოს იგი. შესაბამისად, მთავარი ან ძირითადი მოძალადის განსაზღვრა , შესაძლოა, იმთავითვე არ იყოს თავისთავად ცხადი.

შესაბამისად, სამართალდამცავმა ორგანოებმა პროაქტიური მიდგომა უნდა აირჩიონ, რათა უზრუნველყონ მართლმსაჯულებაზე წვდომის თვალსაზრისით გენდერული ნიშნით ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე ქალებისთვის ბარიერების მოხსნა.[217] მაგალითად, საქმეზე X. v Timor-Leste, CEDAW კომიტეტმა აღნიშნა, რომ სამართალდამცავ ორგანოებს უნდა მოეპოვებინათ მტკიცებულებები, რომლებიც ხელს შეუწყობდა განმცხადებლის დაცვას, რაც აუცილებელი მოგერიების საქმეებზე სამართალდამცავი ორგანოების კონკრეტულ ღონისძიებებს მოითხოვს.[218] პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა აქტიურად უნდა მოიძიონ სხვადასხვა სახის დამატებითი გამამყარებელი მტკიცებულებები, რომლებიც მსხვერპლის მიერ არაა მოწოდებული, მაშინაც კი, თუ შემთხვევა მოწმეების გარეშე მოხდა,[219] მაგ. ძალადობის ნიშნები; პოლიციის მონაცემები; სასწრაფო დახმარების ზარების ჩანაწერები; მეზობლების, ნათესავების განცხადებები ან სხვა მოწმეთა ჩვენებები; წინა შემთხვევების ისტორია; ოჯახში ძალადობის ადრინდელი შეტყობინებები, რომლებთან დაკავშირებითაც არ განხორციელდა გამოძიება; მტკიცებულებები მოძალადის რეპუტაციასთან დაკავშირებით; ძველი კომუნიკაცია ქალსა და მოძალადეს შორის (წერილები, ჩანაწერები, ელექტრონული ფოსტის

213 CEDAW, საქმე „ X. v Timor-Leste“ (CEDAW/C/69/D/88/2015), პარაგრაფი 6.5.
214 იქვე.
215 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 19 (1992), პარაგრაფი 24(b).
216 გაეროს გენერალური ასამბლეა, განახლებული სტრატეგიული მოდელები და პრაქტიკული ზომები ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის შესახებ, სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციისა და მართლმსაჯულების სფეროში (2010) გაეროს დოკ. A/RES/65/228, პარაგრაფი 19(g).
217 ჩოუდრი (n), გვ. 15. https://rm.coe.int/factsheet-womens-access-to-justice/16808ff44e გვ. 1
218 CEDAW, საქმე „X. v Timor-Leste“ (CEDAW/C/69/D/88/2015), პარაგრაფი 6.5.
219 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 33 (2015), პარაგრაფი 51(i).

შეტყობინებები, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, პოსტები სოციალურ მედიაში და სხვ.); ექსპერტი მოწმის ჩვენებები (მაგალითად ჯანდაცვის სისტემის თანამშრომლები და სოციალური მუშაკები); ვიდეოთვალის ჩანაწერები; დაზიანებისა და დანაშაულის ადგილის ფოტოები (მათ შორის ქონების დაზიანების ფოტოები); სამედიცინო ისტორია/ანგარიშები (მათ შორის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ძველი ჩანაწერები და ასევე ჩანაწერები, რომლებიც ძალადობის ისტორიას აჩვენებს).[220] შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოები პროაქტიურები უნდა იყვნენ კონკრეტული ტიპის მტკიცებულებების მოპოვებისა და პოტენციური მტკიცებულებების სპექტრის გამოკვლევის საკითხში.[221] ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოების პროაქტიური მუშაობა მტკიცებულებების მოსაპოვებლად არ ნიშნავს, რომ მსხვერპლი ნაკლებად სანდოდ შეიძლება ჩაითვალოს (იხილეთ ნაწილი 2.4.3 ქვემოთ).

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის აქტების ზუსტი დოკუმენტირება არ ხდება ბევრ ქვეყანაში,[222] სამედიცინო და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მტკიცებულებების მოპოვება სახელმწიფო ორგანოების მნიშვნელოვანი მოვალეობაა და მათ უნდა უზრუნველყონ ამ მტკიცებულებების სათანადო წესით მოპოვება და სასამართლოსთვის წარდგენა, სადაც ეს შესაძლებელია.[223] შესაბამისად, ასეთი საქმეები დაუყოვნებლივ საჭიროებს სამედიცინო შეფასებას[224] და დაზიანებების დოკუმენტურად ასახვას.

აღნიშნულმა ინფორმაციამ, შესაძლოა, გარკვეული სიცხადე შეიტანოს იმ გარემოებებში, რომლებიც წინ უსწრებდა ქალის მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენებას. კერძოდ, თუ არსებობს მიზეზი, ვივარაუდოთ, რომ ბრალდებული იყო ძალადობის მსხვერპლი, უნდა ჩატარდეს კონტექსტის ანალიზი, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

> „განისაზღვროს, არის თუ არა დამნაშავე ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. ინფორმაციის მოძიება და მიღება არსებული საქმის მიღმა განმცხადებილისა და ბრალდებულის მთლიანი ურთიერთობის შესახებ. ბრალდებულის მიერ ძალადობის გამოყენების მოტივისა და განზრახვის შესწავლა. ძალადობა შიშის, ბრაზის გამო მოხდა, კონტროლირებული იყო? მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია სხვა პროფესიონალთა კავშირების, მაგალითად კოორდინირებული სათემო რეაგირების კომიტეტებისგან, თუ ასეთი კომიტეტი არსებობს. შეამოწმეთ ორივეს დანაშაულებრივი ისტორია, როგორც ბრალის წაყენების შემთხვევები, ასევე შემთხვევები, როდესაც ბრალი არ ყოფილა წაყენებული.
>
> აუცილებელი მოგერიების შესახებ არსებული მტკიცებულებების შეფასება და საქმის წარმოების შეწყვეტა, თუ კანონის თანახმად დგინდება აუცილებელი მოგერიება. მართალია, სასამართლო განხილვის დროს აუცილებელი მოგერიების საკითხის დასმა ბრალდებულის ტვირთია, ბრალის წაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა უნდა იცოდეს ნებისმიერი მტკიცებულების შესახებ, რომელიც მიუთითებს, რომ ბრალდებული, შესაძლოა, მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. განიხილეთ მოსარჩელისა და ბრალდებულის ჩვენებები, გადაუდებელი დახმარების მოთხოვნის ზარები , მოწმეთა ჩვენებები, ფიზიკური დაზიანების ფოტოები და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებული იქნა დანაშაულის ადგილას, რადგან ამით, შესაძლოა, დადგინდეს ბრალდებულის მოქმედებები იყო თუ არა თავდაცვითი ხასიათის. ზუსტი შეფასება და ბრალის განსაზღვრა ამ საქმეებთან დაკავშირებით პროკურორისგან მოითხოვს, ესმოდეს თითოეული პირის მიერ ძალადობის გამოყენება მათი ურთიერთობის კონტექსტში. იყო ქალის მოქმედებები საჭირო გარდაუვალი ზიანის თავიდან ასაცილებლად?“.[225]

განახლებული მოდელური სტრატეგიები და პრაქტიკული ზომები სახელმწიფოებისგან მოითხოვს,

220 დუბანი (n 52), გვ. 79.
221 იქვე.
222 ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა განყოფილების დეპარტამენტი ქალთა წინსვლისთვის, სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობის შესახებ (2010) ST/ESA/32 (<https://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2012/12/unw_legislation-handbook%20pdf.pdf?la=en&vs=1502> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს), პარაგრაფი 3.2.4.
223 იქვე, პარაგრაფი 3.9.5.
224 მათ შორის, სათანადო ფსიქოლოგიური შეფასების დროს (იხილეთ ნაწილი 1.2 (viii) ზემოთ, ფსიქოლოგიურ შეფასებებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ).
225 გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) სახელმძღვანელო ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის ეფექტური სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ (n 61), გვ. 85.

განიხილონ, შეაფასონ და სათანადო ფორმით განაახლონ სისხლის სამართლის პროცედურები ყველა შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყონ „დამნაშავის მიერ წარსულში ჩადენილი ძალადობის აქტების, ძალადობის, ადევნებისა და ექსპლუატაციის მტკიცებულებების გათვალისწინება სასამართლო განხილვის დროს, ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად“.[226]

2.4.3. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიმართ მტკიცებულებათა გამყარების მოთხოვნის აკრძალვა

მართალია, სამართალდამცავი ორგანოები პროაქტიურად უნდა მოქმედებდნენ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსხვერპლი არასანდოდ უნდა ჩაითვალოს. ოჯახში ძალადობის კონტექსტში, აუცილებელი მოგერიების ინციდენტების პრობლემურობა იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც წესი, არ არიან მოწმეები, რადგან ოჯახში ძალადობა, ძირითადად, ოჯახში ხდება. შესაბამისად, ორი ყველაზე უფრო სერიოზული დაბრკოლება იმისათვის, რომ ქალს ჰქონდეს წვდომა მართლმსაჯულებაზე არის ის, რომ: i) სამედიცინო მტკიცებულებების, მათ შორის შესამჩნევი ფიზიკური კვალის, არარსებობა აღიქმება, რომ ამცირებს შეტყობინებული ძალადობის სიმძიმეს ან/და საფრთხეს, რომელზეც მოხდა რეაგირება; ii) ქალის ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობები აღიქმება იმის მტკიცებულებად, რომ ქალი ცრუობს. ამ ორ დაბრკოლებას ქვემოთ განვიხილავთ.

მსხვერპლის ჩვენება ოჯახში ძალადობის სიტუაციებში გადამწყვეტი მტკიცებულებაა. ამ კონტექსტში მტკიცებულებათა გამყარების რთული მოთხოვნები წარმოადგენს დაბრკოლებას მართლმსაჯულების განხორციელების და მსხვერპლის დაცვის კუთხით და მსგავსი კანონები და პრაქტიკა ფართო კრიტიკას იმსახურებს. CEDAW კომიტეტი იმეორებს, რომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებმა უზრუნველყონ მტკიცებულებებთან დაკავშირებული წესების გადასინჯვა, განსაკუთრებით ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებთან მიმართებით, რათა უზრუნველყონ, რომ „მტკიცებულებებთან დაკავშირებული მოთხოვნები არ იყოს ზედმეტად შემზღუდველი, მოუქნელი და არ ექცეოდეს გენდერული სტერეოტიპების გავლენის ქვეშ“.[227] კერძოდ, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით დისკრიმინაციული ბარიერების გაუქმებას, მათ შორის, როგორიცაა „მტკიცებულებათა გამყარებისწესები, რომლებიც ახდენს ქალების, როგორც მოწმეების, მომჩივანებისა და მოპასუხეების დისკრიმინაციას, მოითხოვს რა მათგან მტკიცების უფრო მაღალი ტვირთის წარმოდგენას, ვიდრე მამაკაცებისგან,, დანაშაულის დასადგენად ან დაცვის მექანიზმების მისაღებად“.[228]

საერთაშორისო სამართალში დიდი ხანია დამკვიდრებულია პრინციპი, რომ მსჯავრდების მიზნით მოსამართლეს უფლება აქვს დაეყრდნოს ერთი მოწმის (მსხვერპლის) ჩვენებით მიღებულ მტკიცებულებას დამატებითი მტკიცებულებებით გამყარების გარეშე.[229] საერთაშორისო მითითებები ეხმაურება ამ პრინციპს და მოითხოვს, რომ გაუქმდეს დამატებითი მტკიცებულებებით გამყარების მოთხოვნა სექსუალური ძალადობის საქმეებზე, მათ შორის გადარჩენილის ჩვენების მტკიცებულებებით გამყარების მოთხოვნა.[230] იურისტთა საერთაშორისო

226 გაეროს გენერალური ასამბლეა, განახლებული სტრატეგიული მოდელები და პრაქტიკული ზომები ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის შესახებ, სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციისა და მართლმსაჯულების სფეროში (2010) გაეროს დოკ. A/RES/65/228, პარაგრაფი 15(g).
227 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 33 (2015), პარაგრაფი 51(h).
228 იქვე, პარაგრაფი 25(a)(iii).
229 იხილეთ საეთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოები ყოფილ იუგოსლავიაში: ჰარადინაჟი და სხვ., სააპელაციო განაჩენი, პარ. 145, 219; ტადიჩი, სააპელაციო განაჩენი, პარ. 65; ბაგილიშემა, სააპელაციო განაჩენი, პარ. 79; დრაგომირ მილოშევიჩი, სააპელაციო განაჩენი, პარ. 215; კუპრესკიჩი, სააპელაციო განაჩენი, პარ. 220; ლუკიჩი და ლუკიჩი, სააპელაციო განაჩენი, პარ. 375.
230 გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) სახელმძღვანელო ქალების და გოგონების

კომისია აღნიშნავს, რომ საჩივრის დაუყოვნებლივ წარდგენის, მტკიცებულების გამყარების მოთხოვნა და „სიფრთხილის გამოჩენის'' პრინციპი მოიცავს დამაზიანებელ სტერეოტიპებსა და არასწორ დაშვებებს, რაც წარმოადგენს დაბრკოლებას სექსუალური ძალადობის გადარჩენილებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომასთან მიმართებით და უნდა გაუქმდეს.[231] ანალოგიური დამაზიანებელი დაშვებები აშკარაა ოჯახში ძალადობის სიტუაციებში და ასეთი პრაქტიკის აღმოფხვრა ასევე ეხება გამოძიებას და სისხლის სამართლებრივ დევნას ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით.

2.4.3.1. შესამჩნევი კვალის არარსებობა არ ამტკიცებს, რომ ძალადობა არ მომხდარა

ორი ძირითადი მიზეზი არსებობს, თუ რატომ არ ადასტურებს სამედიცინო მტკიცებულებების არარსებობა იმას, რომ ძალადობა არ მომხდარა: i) არსებობს ოჯახში ძალადობის მრავალი ფორმა და ყველა მათგანი არ ტოვებს შესამჩნევ კვალს - მაგალითად, ფსიქოლოგიური ძალადობა და ფიზიკური ძალადობის ზოგიერთი ფორმაც, მაგალითად გაგუდვა. ამის მიუხედავად, ოჯახში ძალადობის ყველა ფორმა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევას და შესაძლებელია წამებასაც კი უტოლდებოდეს;[232] ii) ხშირ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები არ ატარებენ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას.

გაეროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის სახელმძღვანელო ადგენს მსგავსი მტკიცებულებების არარსებობის მიზეზებს: „სასამართლო-სამედიცინო და სამედიცინო მტკიცებულებები შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი სასამართლო განხილვის დროს მრავალი მიზეზის გამო, მათ შორის, იმიტომ, რომ მომჩივანმა არ იცის ასეთი მტკიცებულებების მნიშვნელობა; ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე მტკიცებულებების მოპოვების მხრივ კვალიფიციური პერსონალის არარსებობა, რომელიც მომჩივანის/გადარჩენილისადმი სენსიტიური მოპყრობით მოახდენს მტკიცებულებების მიღებას.... შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობით დასაშვები იყოს დამნაშავის სისხლის სამართლებრივი დევნა და მსჯავრდება მხოლოდ მომჩივანის/გადარჩენილის ჩვენების საფუძველზე".[233]

MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტი მოითხოვს გენდერული პერსპექტივის გათვალისწინებას მკვლელობისა და აუცილებელი მოგერიების დანაშაულების გამოძიების პროცესში ოჯახში ძალადობის კონტექსტში და ამ საქმეებზე მტკიცებულების შესაფასებლად ეყრდნობა ზოგად სტანდარტებს, რომლებიც დადგენილია ინტერ-ამერიკული სასამართლოს მიერ:

- მსხვერპლის ჩვენება არსებითად მნიშვნელოვანია და არ უნდა მოველოდეთ სავარაუდო თავდასხმის საშუალებების დოკუმენტურად დადასტურებულ მტკიცებულებას;[234]
- მართალია, სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი სამედიცინო მტკიცებულებების მოსაპოვებლად, მაგრამ სამედიცინო მტკიცებულებების არარსებობა არ ამცირებს შეტყობინებული ქმედების ჭეშმარიტებას;[235]
- შესამჩნევი კვალის არარსებობა არ ამტკიცებს, რომ ძალადობა არ მომხდარა;[236]
- მსხვერპლისგან არ შეიძლება მოველოდეთ, რომ აჩვენებს ყველა გადატანილი ძალადობის

მიმართ ძალადობის ეფექტური სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ, გვ. 101; UN სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობის შესახებ, პარაგრაფი 3.9.7.1.

231 იურისტთა საერთაშორისო კომისია, „სექსუალური ძალადობა ქალთა მიმართ: მავნე გენდერული სტერეოტიპებისა და დაშვებების აღმოფხვრა კანონებსა და პრაქტიკაში" (2015 წლის აპრილი) <https://www.icj.org/wp-content/uploads/2015/04/Universal-GenderStereotypes-Publications-Thematic-report-2015-ENG.pdf> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, გვ. 11-დან.

232 იხილე შენიშვნა 116.

233 ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა განყოფილების დეპარტამენტი ქალთა წინსვლისთვის, სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობის შესახებ (2010) ST/ESA/32 <https://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2012/12/unw_legislation-handbook%20pdf.pdf?la=en&vs=1502> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს), პარაგრაფი 3.9.5.

234 MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტი (n 6), გვ. 11.

235 იქვე.

236 იქვე.

კვალს;[237]

- ოჯახში ძალადობის მსხვერპლის ჩვენება უნდა ჩაითვალოს მტკიცებულებად გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს, მათ შორის, სავარაუდო თავდასხმის სხვა ფიზიკური თუ დოკუმენტური მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში.[238]

შესაბამისად, სამედიცინო ექსპერტიზის ან შესამჩნევი დაზიანებისა თუ ფიზიკური მტკიცებულებების არარსებობა არ უნდა იქცეს დაბრკოლებად ქალის მიერ აუცილებელი მოგერიების უფლების აღიარებისთვის.

2.4.3.2. სამართალდამცავმა ორგანოებმა არ უნდა გამოიტანონ არასათანადო დასკვნები ქალის ჩვენებაში არსებული შეუსაბამობების და ძალადობის ფაქტის დაგვიანებით გამჟღავნების გამო

როგორც ზემოთ აღინიშნა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შესაძლოა არ იქცეოდეს სხვაგვარი დანაშაულის მსხვერპლის მსგავსად. ქალთა მართლმსაჯულების ცენტრის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ამ ტიპის საქმეებზე „გავრცელებულია ძალადობის ფაქტის დაგვიანებით გამჟღავნება და ზოგიერთი ქალი მხოლოდ მსჯავრდების შემდეგ საუბრობს ძალადობის შესახებ“.[239] უფრო მეტიც, კვლევამ გამოავლინა, რომ როდესაც ქალი „საბოლოოდ სრულად და გულწრფელად იტყვის ამის შესახებ, ხშირად ეს ხდება სპეციალისტების დახმარების მიღების შემდეგ. ის ფაქტი, რომ იგი თავდაპირველად უარყოფდა ძალადობას, როგორც წესი, ქალის საწინააღმდეგოდ მუშაობს.“[240]

ქალების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ პოლიციის ეფექტური რეაგირების შესახებ გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) სახელმძღვანელოს თანახმად „ბევრი ქალი ისე ნერვიულობს პოლიციაში მისვლისას, რომ უჭირთ ამბის დასაწყისის, შუა ნაწილისა და დასასრულის ერთმანეთთან დაკავშირება“.[241] UNODC-ის სახელმძღვანელო ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის ეფექტიანი სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ უარყოფს მითს, რომ მსხვერპლის ჩვენების წინააღმდეგობრიობა იმას ნიშნავს, რომ ის სანდო არ არის:

> „შეხედულება, რომ მრავალი მსხვერპლი ცრუობს, არაგონივრულ მოთხოვნებს აკისრებს მსხვერპლს, დაამტკიცოს, რომ ის რეალური და ღირსეული მსხვერპლია. მათ თავადაც იციან ამ მითების შესახებ და არაერთი მსხვერპლი ცვლის თავდაპირველ ჩვენებას, რომ ის უფრო დამაჯერებელი გახადოს. მითების პრიზმიდან თუ ვისაუბრებთ, პროკურორი შეუსაბამობებს მიიჩნევს როგორც ცრუ საჩივარს ან როგორც პრობლემურს მტკიცებულებითი კუთხით. ტრავმამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მსხვერპლის უნარზე, თანმიმდევრულად ან სრულყოფილად ისაუბროს საკუთარი გამოცდილების შესახებ. თავდაპირველი გასაუბრებისას მსხვერპლის დახმარება შესაძლებლობას აძლევს მას, დამშვიდდეს და გაუჩნდეს ნდობა, რომ ყველაფერი თქვას ინციდენტის შესახებ“.[242]

სხვადასხვა მიზეზი არსებობს, თუ რატომ არ საუბრობს მსხვერპლი თავდაპირველად. შეიძლება, ქალი შეგნებულად არ საუბრობდეს ძალადობის მსხვერპლობის შესახებ მის მიერ ჩადენილ

237 იქვე, გვ. 10.
238 იქვე, გვ. 13.
239 ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, „ქალები, რომლებიც კლავენ: მოკლე მიმოხილვა“ , გვ. 6.
240 ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, „ქალები, რომლებიც კლავენ“ , გვ. 121.
241 გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), "სახელმძღვანელო ქალების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ პოლიციის ეფექტური რეაგირების შესახებ" (UNODC, 2010) <https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Handbook_on_Effective_police_responses_to_violence_against_women_English.pdf> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, გვ. 59.
242 გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) სახელმძღვანელო ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის ეფექტური სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ (n 61), გვ. 34.

ქმედებაზე დანაშაულის გრძნობის გამო, ან იმიტომ, რომ „არ სურს ისაუბროს უარყოფითად იმ მამაკაცზე, რომელიც უყვარდა“,[243] მასზე კულტურული თუ რელიგიური შეზღუდვების გავლენის გამო,[244] ან შეიძლება სრულად არ ესმოდეს, რომ ის რაც გამოსცადა, არის ძალადობა (ასეთი შემთხვევაა იძულებისა და კონტროლის გამოცდილება).[245]

MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტი, იშველიებს რა პრეცედენტული სამართლის სტანდარტებს, რომელთა შესაბამისად წამება და სექსუალური ძალადობა ოჯახში ძალადობის ტოლფას ტრავმას იწვევს, ადგენს, რომ:

- არაზუსტი ჩვენება არ ნიშნავს, რომ ინფორმაცია მცდარია, ან რომ ქმედებები არ არის სანდო;[246]
- „როდესაც ქალს საჩივარი შეაქვს, გონივრულია, მოველოდეთ, რომ მის ჩვენებაში წინააღმდეგობრიობები იქნება. … კარგად არის ცნობილი, რომ გენდერული ნიშნით ძალადობა ოჯახში ტრავმული გამოცდილებაა მსხვერპლისთვის”.[247]

2.4.4. ექსპერტი მოწმის ჩვენების მნიშვნელობა

ექსპერტი მოწმე უდიდეს, ზოგჯერ გადამწყვეტ როლსაც კი ასრულებს საქმესთან დაკავშირებით. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სამართალწარმოება აუცილებელი მოგერიების საქმეებზე ოჯახში ძალადობის კონტექსტში ძალზე რთული საკითხია, რომელიც ბევრს არ ესმის, იურისტებს, შესაძლოა, დასჭირდეთ საქმეში ექსპერტის ჩართვა, რათა განმარტონ ციკლური ძალადობის დინამიკა და გავლენა მსხვერპლზე/სამართალდამრღვევზე. ექსპერტს შეუძლია, განმარტოს ისეთი სპეციფიკური საკითხები, რომლებიც სამართალდამცავი ორგანოების, მათ შორის გამომძიებლების, პროკურორების, მოსამართლეებისა და ნაფიცი მსაჯულების ცოდნას და გამოცდილებას სცდება და რომელთა არცოდნა უარყოფითად აისახება მათ უნარზე, მიუკერძოებლად შეაფასონ სასამართლო განხილვის დროს წარმოდგენილი მტკიცებულებები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ექსპერტს ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება მოცემულ სფეროში და არ გამოავლინოს გენდერული მიკერძოება.

ექსპერტს შეუძლია დახმარება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ზოგადად ცნობილი მახასიათებლები;
- ოჯახში ძალადობის დინამიკა, მათ შორის, თუ რატომ ხდება, რომ ძალადობრივი ურთიერთობის დატოვებამ, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტი ძალადობა და სიკვდილიც კი გამოიწვიოს;
- რატომ შეიძლება, რომ არ არსებობდეს დამატებითი მტკიცებულებები, რომლებიც გაამყარებს ქალის ჩვენებას ძალადობის შესახებ;
- ოჯახში ძალადობის გავლენა მსხვერპლზე;
- ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით ფართოდ გავრცელებულ მითებთან დაკავშირებული საკითხები, როგორიცაა, მაგალითად ის, თუ როგორ იქცევა ოჯახში ძალადობის „ტიპური“ მსხვერპლი;
- მსხვერპლის ქცევასთან დაკავშირებულ საკითხები, მათ შორის:
  - * რატომ არის მსხვერპლი მტრულად განწყობილი ან არ სურს, მონაწილეობა სასამართლო განხილვაში;
  - * რატომ არის გავრცელებული შეუსაბამობები ჩვენებებში;

243 ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, „ქალები, რომლებიც კლავენ“ (n 6), გვ. 9.
244 იქვე, გვ. 121.
245 იქვე, გვ. 122.
246 MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტი (n 6), გვ. 11.
247 იქვე, გვ. 10.

* რატომ იყო წარსულში გაკეთებული შეტყობინებები/საჩივრები გამოტანილი ან რატომ სჭირდება ქალს დროს იმის სათქმელად, თუ რა მოხდა;

- ოჯახში ძალადობის ტრავმის სინდრომის რთული ფენომენის, პოსტტრავმული სტრესული აშლილობის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლების მიერ განცდილი ძალადობის ციკლის გაანალიზება;
- სამართალდამცავი ორგანოების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების და დასკვნების შეუსაბამობების და უზუსტობების გამოყოფა, მათ შესახებ კითხვების დასმა. კერძოდ, რა შეიძლებოდა არასწორად ან არასრულად გაკეთებულიყო სამართალდამცავი ორგანოების მიერ, მაგალითად წარმოდგენილი იქნა თუ არა დასკვნები სახელმწიფოს მიერ დანიშნულ ექსპერტთა მხრიდან მათი ცოდნის ფარგლებში და ხომ არ არიან ეს ექსპერტები მიკერძოებული და კიდევ უფრო ხომ არ ამყარებენ გენდერულ სტერეოტიპებს.
- იმ კულტურული კონტექსტის ახსნა, რომელშიც მოხდა სავარაუდო ძალადობა, ასევე მისი წინა-ისტორია და შედეგები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, ეროვნული სასამართლოს მიერ უარი იმ მოწმის გამოძახებაზე, რომლის ჩვენებასაც შეუძლია სასამართლო განხილვის შედეგზე გავლენის მოხდენა [248] ან ისეთ გაურკვეველ გარემოებაში სიცხადის შეტანა, რასაც დაეყრდნო ბრალდების მხარე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას წარმოადგენს.[249]

იდეალურ შემთხვევაში, ექსპერტის მოსაზრების მიზანი ამ ტიპის საქმეებთან დაკავშირებით არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მდგომარეობის განმარტების ხელშეწყობა და მოსამართლეთა, პროკურორებისა და ნაფიცი მსაჯულების გენდერზე დაფუძნებული მითების, არასწორი წარმოდგენებისა და მიკერძოების უარყოფა. ექსპერტი მოწმის საქმეში ჩართვის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) სახელმძღვანელო საქმეში ექსპერტის ჩართვასთან დაკავშირებით.[250]

2.5. ეფექტიანი და გენდერულად მგრძნობიარე იურიდიული დახმარების მნიშვნელობა აუცილებელი მოგერიების საქმეებზე ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კონტექსტში

როგორც ზემოთ აღინიშნა, მსგავს სიტუაციაში მყოფმა ქალმა შეიძლება აღიაროს დანაშაული, როდესაც პოლიცია ბრალს წაუყენებს და არ იცოდეს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის გამოცდილებამ, შესაძლოა, უზრუნველყოს მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, ნაწილობრივი გათავისუფლება ან შეიძლება იყოს მიზეზი, რათა არ მოხდეს

248 საქმე „პერნა იტალიის წინააღმდეგ“ (Perna v Italy) განაცხადი № 48898/99 (ECtHR, 2003 წლის 06 მაისი) პარაგრაფი 29.
249 საქმე კასპაროვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Kasparov and Others v Russia) განაცხადი № 21613/07 (ECtHR, 2013 წლის 03 ოქტომბერი) პარაგრაფები 64-65.
250 EHRAC, „სახელმძღვანელო საქმეში ექსპერტის ჩართვასთან დაკავშირებით“ (2020 წლის დეკემბერი) <https://ehrac.org.uk/en_gb/resources/ehrac-guide-to-instructing-expert-witnesses/> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.

მისი სისხლის სამართლებრივი დევნა.[251] შესაბამისად, გენდერულად მგრძნობიარე იურიდიული დახმარება უაღრესად მნიშვნელოვანია.

საქმეზე X. v Timor-Leste, კომიტეტმა დაავალა სამართალდამცავ ორგანოებს განმცხადებლისთვის საკუთარი უფლებების გაცნობა, ადვოკატის დანიშვნა პირველ გამოკითხვაზე ან მტკიცებულებების მოპოვება, რაც დაეხმარებოდა დაცვის მხარეს და უზრუნველყოფდა, რომ ადვოკატის მიერ გაწეული იურიდიული დახმარება ყოფილიყო ეფექტიანი და გენდერულად მგრძნობიარე.[252] კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იურიდიული დახმარება და საზოგადოებრივი დაცვა უნდა იყოს „მისაწვდომი, მდგრადი და ქალების ყველა საჭიროების შესაბამისი", გაწეული უნდა იქნას „დროულად, რეგულარულად და ეფექტიანად სასამართლო თუ კვაზისასამართლო საქმისწარმოების ყველა ეტაპზე,"[253] ხოლო იურიდიული მომსახურებისა და სახელმწიფო იურიდიული დახმარების გამწევი პირები უნდა იყვნენ კომპეტენტურები და გენდერულად სენსიტიურები.[254]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ განმცხადებელი პირდაპირ უნდა იყოს ინფორმირებული, რომ აქვს დუმილის უფლება[255] და მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს იურიდიული დახმარება სამართალწარმოების ყველა ეტაპზე პოლიციის მიერ თავდაპირველი გამოკითხვიდან დაწყებული (პოლიციასთან პირველ გამოკითხვამდეც კი), სასამართლო განხილვისა და გასაჩივრების ეტაპებით დასრულებული. ამის არგაკეთება წარმოადგენს დაცვის უფლების დარღვევას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6§3(გ) მუხლის შესაბამისად.[256]

2.6. ოჯახში ძალადობის ისტორია, როგორც სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება აუცილებელი მოგერიების საქმეებზე ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კონტექსტში

„მრავალი ქალი, რომელიც კლავს მოძალადეს, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იხდის სასჯელს, რაც ძვირად უჯდებათ მათ და მათ ოჯახებს".[257] თუმცა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც მინიმუმ, ქალს უნდა ჰქონდეს უფლება, მტკიცებულების სახით წარმოადგინოს ძალადობის ისტორია და ეს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული განაჩენის გამოტანისას, როგორც შემამსუბუქებელი ფაქტორი. კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტის - პატიმარ ქალებთან მოპყრობის წესები და არასაპატიმრო ღონისძიებები სამართალდამრღვევ ქალთა მიმართ („ბანგკოკის წესები") თანახმად:

251 ციხის რეფორმების ტრასტი, „მოკლე შემაჯამებელი დოკუმენტი ოჯახში ძალადობის კანონპროექტის შესახებ: კანონპროექტის წინასწარი კვლევა" (2019 წლის აპრილი) <http://www.prisonreformtrust.org.uk/Portals/0/Documents/PRT%20submission%20pre-leg%20scrutiny%20draft%20domestic%20abuse%20bill%20FINAL.pdf> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, პარაგრაფი 3.8.
252 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW), საქმე „X. v Timor-Leste" (CEDAW/C/69/D/88/2015), პარაგრაფი 6.5.
253 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 33 (2015), პარაგრაფი 37(a).
254 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია # 33 (2015), პარაგრაფი 37(b).
255 საქმე „სტოიკოვიჩი საფრანგეთისა და ბელგიის წინააღმდეგ" (Stojkovic v France and Belgium) განაცხადი № 25303/08 (ECtHR, 27 2011 წლის ოქტომბერი) პარაგრაფი 54.
256 საქმე „სალდუზი თურქეთის წინააღმდეგ" (Salduz v Turkey) განაცხადი № 36391/02 (ECtHR, 2008 წლის 27 ნოემბერი) პარაგრაფები 54-55; Shabelnik v Ukraine განაცხადი № 16404/03 (ECtHR, 19 February 2009) პარაგრაფი 57.
257 ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, „ქალები, რომლებიც კლავენ" (n 6), გვ. 13.

- წევრმა სახელმწიფოებმა სამართლებრივი სისტემის ფარგლებში უნდა შეიმუშაონ ალტერნატიული ღონისძიებები, წინასწარი პატიმრობისა და განაჩენის გენდერულად მგრძნობიარე ალტერნატივები, რაც გაითვალისწინებს მრავალი დამნაშავე ქალის ვიქტიმიზაციის ისტორიას და ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებით მათ პასუხისმგებლობას;[258]

- დამნაშავე ქალებისთვის შესაბამისი ალტერნატიული ღონისძიებების შესამუშავებლად უნდა გამოიყოს სათანადო რესურსები, რათა არასაპატიმრო ღონისძიებები გამოყენებული იყოს ისეთ ჩარევებთან ერთად, რომლებმაც უნდა გადაჭრას ყველაზე გავრცელებული პრობლემები, რომლებიც იწვევს ქალების მართლმსაჯულების სისტემასთან კონტაქტს. ეს მოიცავს ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა თერაპიულ კურსებსა და კონსულტაციას; სათანადო მკურნალობას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონეთათვის; და საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამებს დასაქმების პერსპექტივების გასაუმჯობესებლად. ასეთი პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს ბავშვებზე ზრუნვის საჭიროებებსა და სერვისებს ქალებისთვის;[259]

- „დამნაშავე ქალებისთვის განაჩენის გამოტანისას, სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, რომ გაითვალისწინოს შემამსუბუქებელი ფაქტორები, როგორიცაა ნასამართლობის არქონა…, ქალის ზრუნვის პასუხისმგებლობებისა და ტიპური ისტორიის ფონზე".[260]

ცნობილია, რომ ბავშვზე მზრუნველობის გამწევი პირებისთვის (და ამროლს, ჯერ კიდევ უმეტესწილად დედები ასრულებენ)- „მცირე პერიოდით თავისუფლების შეზღუდვაც კი დამაზიანებელი შეიძლება იყოს და გრძელვადიანი შედეგები გამოიწვიოს ბავშვებისთვის, ამიტომ ეს თავიდან უნდა იქნას აცილებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის თავიდან აცილება შეუძლებელია მართლმსაჯულების მიზნების გამო".[261] აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ სასჯელთან დაკავშირებით გენდერული უთანასწორობის შესახებ წუხილების გათვალისწინებით ოჯახში მკვლელობის საქმეების სასჯელების დამოუკიდებელი მოკვლევა დაიწყო.[262]

258 „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმარ ქალებთან მოპყრობის წესები და არასაპატიმრო ღონისძიებები სამართალდამრღვევ ქალთა მიმართ" (ბანკოკის წესები) (2010) გაეროს დოკ. A/RES/65/229, წესი 57.
259 იქვე, წესი 60.
260 იქვე, წესი 61.
261 ციხის საერთაშორისო რეფორმა, „მოკლე შემაჯამებელი დოკუმენტი: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა: ქალთა დისკრიმინაცია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში" (2012 წლის იანვარი) <https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2013/08/BRIEFING-Discrimination-women-criminal-justice.pdf> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს, გვ. 6. ასევე, ციხის რეფორმის ტრასტი „უხილავი ქალები: ქალებისათვის ხანგრძლივი პატიმრობის გამოცდილების გააზრება (2021) http://www.prisonreformtrust.org.uk/Portals/0/Documents/Building%20Futures/invisible_women.pdf
262 იუსტიციის სამინისტრო, „სახელმძღვანელო: ოჯახში მკვლელობის სასჯელის გადახედვა" (2 ნოემბერი, 2021) <https://www.gov.uk/government/publications/domestic-homicide-sentencing-review-terms-of-reference/domestic-homicide-sentencing-review-terms-of-reference> წვდომა- 24 ნოემბერი, 2021

დასკვნა

ქალთა მიმართ ძალადობის სისტემური და სტრუქტურული ბუნებისა და წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილული გამოწვევების გათვალისწინებით, რომელიც ამგვარ საქმეებზე სამართალწარმოებას უკავშირდება, მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კონტექსტში, აუცილებელ მოგერიებასთან დაკავშირებულ საქმეებზე სამართალწარმოების პროცესში გენდერული პერსპექტივის გასათვალისწინებლად, აუცილებელია: გენდერული პერსპექტივის გამოყენება ყველა დონეზე, როდესაც ფასდება, დააკმაყოფილა თუ არა ქალმა აუცილებელი მოგერიების მოთხოვნები; კანონსაწინააღმდეგო აგრესიის, გარდაუვალი საფრთხისა და მოცემულ მომენტში არსებული ძალადობის, ასევე ქალის მიერ თავდასხმის მოგერიებისას გამოყენებული საშუალებების გონივრულობისა და თანაზომიერების განმარტება გენდერულად მგრძნობიარე პერსპექტივიდან; ფსიქო-სოციალური დახმარებისა და იმ პირობების უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს ოჯახში ძალადობის სრულად გამჟღავნებას; ამ ისტორიის შინაარსიანი გათვალისწინების უზრუნველყოფა გამოძიებისა და შემდგომი სასამართლო განხილვის პროცესში; და გენდერული სტერეოტიპების ამოცნობა და აღმოფხვრა. სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ დე იურე ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებების დე ფაქტო ხელმისაწვდომობა, რათა მიღწეულ იქნას არსებითი თანასწორობა, როგორც ამას ითვალისწინებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW) და სტამბულის კონვენცია.[263]

263 იხილე შენიშვნები 51 და 52.

სასარგებლო რესურსები

ექსპერტთა კომიტეტის (MESECVI) ზოგადი რეკომენდაცია N. 1 აუცილებელი მოგერიებისა და გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ ბელემ დო პარას კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად" (2018)

https://www.oas.org/en/mesecvi/docs/MESECVI-CEVI-doc.249-EN.pdf

„ქალები, რომლებიც კლავენ ოჯახში ძალადობაზე საპასუხოდ: როგორ პასუხობენ მათ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემები?" (ციხის საერთაშორისო რეფორმის კვლევა, რომელიც სხვადასხვა იურისდიქციას მოიცავს, 2016)

https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/04/Women_who_kill_in_response_to_domestic_violence_Full_report.pdf

„ქალები, რომლებიც კლავენ: როგორ ახდენს სახელმწიფო იმ ქალთა კრიმინალიზებას, რომლებსაც სხვა შემთხვევაში შესაძლებელია ვმარხავდეთ" (ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, 2021 წელი)

https://www.centreforwomensjustice.org.uk/women-who-kill

საკონსულტაციო დასკვნა ქალბატონი გულჟან ფასანოვას სასარგებლოდ (the Clooney Foundation for Justice, Covington & Burling LLP, et al., 2020)

https://cfj.org/wp-content/uploads/2020/05/CFJ-Amicus-Brief-in-Support-of-Pasanova-G.-12-May-2020-English.pdf

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სამართალწარმოების შესახებ: ოჯახში ძალადობა და სექსუალური ძალადობა (2020)

https://ehrac.org.uk/wp-content/uploads/2021/03/EHRAC-Guide-to-Litigating-Cases-of-Violence-Against-Women-ENG-1.pdf

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) სახელმძღვანელო გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის (CEDAW) კომიტეტისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის გამოყენების შესახებ (2018)

https://ehrac.org.uk/en_gb/resources/using-the-un-cedaw-committee-and-special-rapporteur-on-violence-against-women/

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) სახელმძღვანელო საქმეში ექსპერტის ჩართვასთან დაკავშირებით (2020)

https://ehrac.org.uk/en_gb/resources/ehrac-guide-to-instructing-expert-witnesses/

„არსებობს მიზეზი, რატომაც გვაქვს პრობლემები": ოჯახში ძალადობა, როგორც ქალების მიერ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი ფაქტორი (ციხის რეფორმების ტრასტი, 2017)

http://www.prisonreformtrust.org.uk/Portals/0/Documents/Domestic_abuse_report_final_lo.pdf

სახელმძღვანელო ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის ეფექტური სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ (გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), 2014)

https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Handbook_on_effective_prosecution_responses_to_violence_against_women_and_girls.pdf

სახელმძღვანელო ქალების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ პოლიციის ეფექტური რეაგირების შესახებ (გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), 2010)

https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Handbook_on_Effective_police_responses_to_violence_against_women_English.pdf

სასარგებლო რესურსები

სახელმძღვანელო სასამართლოსთვის ქალებისა და გოგონების მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ეფექტური რეაგირების შესახებ (გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), 2019)

https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/HB_for_the_Judiciary_on_Effective_Criminal_Justice_Women_and_Girls_E_ebook.pdf

სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ (2017). იხილეთ სახელმძღვანელოს დანართი 3: შერჩეული რესურსები გენდერული თანასწორობისა და ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ

https://rm.coe.int/training-manual-women-access-to-justice/16808d78c5

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR) – გენდერული სტერეოტიპული აღქმების ნაწილი

https://www.ohchr.org/EN/Issues/Women/WRGS/Pages/PublicationsAndResources.aspx

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა აუცილებელი მოგერიების უფლება: სტერეოტიპები და ცრურწმენები რუსეთის სასამართლოს გადაწყვეტილებებში

https://ehrac.org.uk/en_gb/resources/the-right-of-victims-of-domestic-violence-to-self-defence-stereotypes-and-prejudices-in-the-decisions-of-russian-courts/

ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა კრიმინალიზება სახელმწიფოს მხრიდან, ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, ლონდონი (გამოქვეყნება იგეგმება 2022 წელს)

პრეცედენტული საქმეები

1. ვალერი ბაკო[264] – საფრანგეთი.

2. სალი ჩალენი[265] - განახლებული მკვლელობის საქმეები გაერთიანებულ სამეფოში სალი ჩალენის აპელაციის კვალდაკვალ (გარდიანი, 2021 წლის 10 ივლისი).[266]

3. დები ხაჩატურიანები (გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული)[267] – რუსეთი.

4. ბარბარა შიჰანი[268] – აშშ.

5. ჩრდ. და სამხ. ამერიკის ქვეყნებისთვის იხილეთ ბელემ დო პარას კონვენციის ზედამხედველობის მექანიზმის ექსპერტთა კომიტეტი (MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტი) "MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N. 1" (2018) <https://www.oas.org/en/mesecvi/docs/MESECVI-CEVI-doc.249-EN.pdf> წვდომა განხორციელდა 2021 წლის 29 ოქტომბერს.

6. ავსტრალიის, კანადის, ინგლისის, უელსისა და ახალი ზელანდიისთვის იხილეთ მომავალი ანგარიში „არასწორი მსხვერპლი: ინსტიტუციონალური სექსიზმი და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა კრიმინალიზება" (ქალთა მართლმსაჯულების ცენტრი, გამოქვეყნება იგეგმება 2022 წლის იანვარში).

264 BBC, „ვალერი ბაკო: თავისუფლება ძალადობის მსხვერპლ ქალს, რომელმაც ქმარი მოკლა" (2021 წლის 25 ივნისი) <https://www.bbc.com/news/world-europe-57609494> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.
265 მართლმსაჯულება ქალებისთვის, სალი ჩალენი <https://www.justiceforwomen.org.uk/sally-challen-appeal> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.
266 ჰანა სამერსი, „განახლებული მკვლელობის საქმეები სალი ჩალენის აპელაციის კვალდაკვალ" (გარდიანი, 2021 წლის 10 ივლისი) <https://www.theguardian.com/society/2021/jul/10/cases-reopened-in-wake-of-sally-challen-appeal> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს; ჰანა სამერსი, „ადვოკატები ითხოვენ სამართალს ქალებისთვის, რომლებიც ცხენში მოხვდნენ მოძალადე ქმრების მკვლელობისთვის" (გარდიანი, 2021 წლის 13 თებერვალი) <https://www.theguardian.com/global-development/2021/feb/13/justice-is-failing-women-forced-to-kill-male-abusers-to-stay-alive> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.
267 მეთიუ ლუქსმორი, „როგორ გააჩაღა კულტურული ომები რუსეთში „მოძალადე მამის მკვლელობამ ქალიშვილების მიერ" (გარდიანი, 2020 წლის 10 მარტი) <https://www.theguardian.com/world/2020/mar/10/khachaturyan-sisters-killing-of-abusive-father-russia-trial-family-values> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.
268 დან ბილევსკი, „ცოლი, რომელმაც 11-ჯერ ისროლა უდანაშაულოდ იქნა ცნობილი მკვლელობის ბრალდებაში" (ნიუ-იორკ ტაიმსი, 2011 წლის 06 ოქტომბერი) <https://www.nytimes.com/2011/10/07/nyregion/barbara-sheehan-who-killed-husband-is-found-not-guilty-of-murder.html> წვდომა 2021 წლის 29 ოქტომბერს.

European Human Rights Advocacy Centre

Middlesex University
The Burroughs Hendon
NW4 4BT
Tel: +44 208 411 2826
www.ehrac.org.uk
ehrac@mdx.ac.uk

EHRAC is established within Middlesex University. The University is an exempt charity by virtue of the Charities Act 1960.

Cover photo: EurasiaNet